დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ავთანდილ კეჭაყმაძე

წევრები:

- ლელა ეუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი
- ირმა ავალიანი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი
- ნიკოლოზ გურგენიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი
- სოფიო დუმბაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი
- შოთა მაღლაკელიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
- ნინო მარღიშვილი-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი
- მარინე ხუციშვილი-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
- ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
- გიორგი ბერიძე-სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი
- ნატო ხაჭაპურიძე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240907934

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერძენაული
ფაქტობრივი მისამართი	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერძენაული
საფოსტო ინდექსი	4500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	berdzenauli@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის 8 მაისის MES 6 25 0000503402 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 5 და 6 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერძენაული
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერძენაული
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ბერძენაული

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 5 და 6 ივნისს სსიპ – ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალები. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, შეფასების პროცესი განახორციელეს როგორც ადგილზე ვიზიტით, ასევე დისტანციურად. ვიზიტი ჩატარდა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ გარემოში. ადგილზე ვიზიტის დროს მოხდა სკოლის ინფრასტრუქტურის, სასკოლო გარემოსა და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლა. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრებები სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან,

პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები შეხვდნენ შესაბამისი კათედრების წარმომადგენლებს და დასვეს დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან დაკავშირებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 28/06/2025 – 28/06/2026 უზრუნველყოს დაწყებით კლასებში საგნებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე და საზოგადოება, მუსიკა, საათების განაწილება კვალიფიციურ კადრებზე.
ინდიკატორი N 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 03/04/2025 – 03/04/2027 უზრუნველყოს რესურსოთახის მოწყობა და შშმ პირთათვის მეორე სართულზე წვდომის უზრუნველყოფა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 28/06/2025 – 28/06/2026 უზრუნველყოს დაწყებით კლასებში საგნებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე და საზოგადოება, მუსიკა, საათების განაწილება კვალიფიციურ კადრებზე.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 03/04/2025 – 03/04/2026 უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 03/04/2025 – 03/04/2026 უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 03/04/2025 – 03/04/2026 უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში 03/04/2025 – 03/04/2026 უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია, სკოლის ხედვა ჩამოყალიბდეს მისიიდან გამომდინარე და ასახავდეს სკოლისთვის იდეალური მომავლის სურათს. რეკომენდებულია, რომ ხედვაში: • გაიწეროს სკოლის მიერ დანახული იდეალური მდგომარეობა (საითკენ ისწრაფვის სკოლა); • განისაზღვროს წარმატების გაზომვის კრიტერიუმები.

		• განისაზღვროს პერიოდი, რომელშიც სკოლა გეგმავს ამ მიზნის მიღწევას;
ინდიკატორი N1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სასურველია, რომ SWOT ანალიზის შემუშავებისას სკოლამ უფრო მკაფიოდ გაარჩიოს შიდა და გარე ფაქტორები. კერძოდ, შესაძლებლობებისა და საფრთხეების სექციებში უნდა განიხილოს ის გარე გარემოს ფაქტორები, რომელთაც თავად სკოლა ნაკლებად ან საერთოდ ვერ აკონტროლებს, თუმცა ისინი სკოლის საქმიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. მაგალითად, შესაძლებლობებად შეიძლება მიეთითოს სახელმწიფო საგანმანათლებლო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა. საფრთხეებად კი - მოსახლეობის მიგრაცია, რეგიონში სკოლის ასაკის ბავშვების შემცირება, ან ცენტრალური და ადგილობრივი საგანმანათლებლო პოლიტიკის ცვლილებები და ა.შ.
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სასურველია დაზუსტდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება. მაგალითად არსებული ვარიანტი: **სტრატეგიული მიზანი:** სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, ორგანიზაციული განვითარება; შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **სტრატეგიული მიზანი:** სკოლის პროფესიულ და ორგანიზაციულ კულტურაზე დაფუძნებული განვითარება; ხოლო სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება შესაძლოა ამ მიზნის ერთ-ერთი ამოცანა იყოს.
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სტრატეგიული მიზნების ფორმულირებები სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა უნდა შეიცვალოს ისე, რომ სრულად ასახავდეს სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის №2-59 ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს.
ინდიკატორი N 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დააზუსტოს მასწავლებლების გარდა კიდევ რომელ პოზიციებზე შესარჩევ პირს ეხება კონკურსის წესი.
ინდიკატორი N 3.2.1.1	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სასურველია სკოლის ხარისხის მართვის პრაქტიკა მოვიდეს თანხვედრაში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულ მექანიზმებთან. რეკომენდებულია სკოლამ დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად შერჩევითად შეაფასოს სკოლის ყველა პროცესის ხარისხი(და არა მხოლოდ კურიკულუმის დანერგვა), შეიმუშავოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების მონიტორინგი.
ინდიკატორი N 3.2.1.2	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	მიზანშეწონილია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები(მათ შორის პროფესიული განვითარების მიმართულებით), განხორციელდეს სისტემურად და დოკუმენტურად გამჭვირვალედ. რეკომენდებულია პროფესიული საჭიროებების კვლევის შედეგების დაფიქსირება, ტრენინგებისა და სემინარების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, აგრეთვე შიდა სასკოლო ტრენინგების გეგმის ჩამოყალიბება. ამგვარი მიდგომა გააუმჯობესებს ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის

		ეფექტიანობას და გააძლიერებს სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების სისტემას.
ინდიკატორი N 3.3.2.1	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი 2024 წლის 21 ნოემბრის #2-62 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის მეთერთმეტე მუხლში, სადაც უკუკავშირის ანალიზზე პასუხისმგებელ პირად საქმისმწარმოებელთან ერთად განსაზღვრულია სკოლაში არარსებული საშტატო ერთეული;
ინდიკატორი N 3.3.2.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

	(სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სასურველი იქნება, თუ სკოლის სქმიანობა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მკაფიოდ აღიწერება რომელიმე დოკუმენტში, მაგალითად სამოქმედო გეგმაში, დამამთავრებელი კლასების სადამრიგებლო პროგრამაში ან სხვა მასალაში. ამ დოკუმენტში უნდა გაიწეროს, როგორ აწვდის სკოლა მოსწავლეებს ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიაზე, განათლების გაგრძელების გზებზე, სამუშაო შესაძლებლობებზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.
ინდიკატორი 4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	სასურველია, რომ დოკუმენტი „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“ იყოს დამტკიცებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დოკუმენტი უნდა შეუსაბამდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებას, კერძოდ – უნდა განისაზღვროს, რომ სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი აუცილებლად შედიოდეს ისგ ჯგუფის შემადგენლობაში.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	**სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევით:** სასურველია დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში გრაფები ,,მაგალითები შედარებისთვის'' და ,,საკითხთა

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	კლასტერი'' ამოღებულ იქნას და გრაფებს დაერქვას სახელი-საკითხი(შეივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თემაში მუშავდება ე.წ. კომპლექსური ბუნების შემოქმედებითი დავალება) და ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები), რომელშიც აისახება ძირითადი ტექსტი და ის დამატებითი მასალა, რასაც მასწავლებელი კონკრეტულ თემაში გამოიყენებს: ფილმი, საინფ.ტექსტი (საჭიროების შემთხვევაში, საკითხთან დაკავშირებული), ილუსტრაცია და ა.შ.
		სახელმწიფო ენის ექსპერტის რჩევით: კურიკულუმებში სასურველია საკითხის გრაფაში დაწეროთ ის, რაც წერია დავალების იდეის გრაფაში, დავალების იდეაში კი -დავალების პირობა კრიტერიუმებამდე.
		კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევით: სასურველია ,ტექნოლოგიების კურიკულუმში გათვალისიწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები და შესაძლებლობები.
		მათემატიკის ექსპერტის რჩევით: ყველა კლასის კურიკულუმში მიზანშეწონილია დაემატოს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე მიბმული დავალებები,სადაც მოსწავლე თავად გეგმავს, წარადგენს და აფასებს შედეგს (მაგ: ბიუჯეტის შედგენა, გამოფენის მოწყობა, პროექტის წარდგენა თანაკლასელების წინაშე).
		მათემატიკის ექსპერტის რჩევით: სასურველია, დაინერგოს საერთო სტანდარტი კურიკულუმებში ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის, სვეტების სათაურებისთვის(ზოგან გამოყენებულია „კომპლექსური დავალება", ზოგან –„შემოქმედებითი დავალება" ან „შუალედური მიზანი")ეს ხელს შეუწყობს უკეთეს აღქმას და სკოლაში კურიკულუმების თანხვედრას.
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის კომპლექსური /შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს

		მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: დაწყებითი საფეხურზე სასურველია, ყველა ჩარჩო ერთიან ფორმატში გაკეთდეს, (მაგ. მესამე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში შეტანილი გრაფა ''ტექსტები '' სხვა ჩარჩოებში არ გვხვდება, ასევე შუალედური მიზნის შემოწმების იდეაში - მკაფიოდ გამოჩნდეს პროდუქტი, ხოლო რჩევები მოსწავლეთათვის თან დაერთოს დავალების აღწერას,ნაბიჯები კი გადავიდეს საგნობრივ მატრიცაში. მე-3 და მე-4 კლასში რესურსები შეივსოს შესაამისი ელექტრონული რესურსებით.მე-4 კლასის თემაში ეს საოცარი წყალი ციკლური მოვლენები - პროდუქტი მკაფიოდ გამოჩნდეს, ჩარჩოში პროდუქტი ნახატია, დავალების პირობაში - სქემა, შეგიძლიათ, გააერთიანოთ ორივე)
		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით: ქართული ენის კურიკულუმებში საკითხთა კლასტერის ნაცვლად სასურველია მითითებული იყოს საკითხი, რაც თანხვედრაშია დავალების იდეასთანაც. მათი შეტანა ერთად, საკითხების სვეტში შეიძლება. ხოლო ძირითადი/დამხმარე ტექსტები და კონტექსტმაგალითები უნდა იყოს შეტანილი გრაფაში ტექსტი/ტექსტები.
		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით: სასურველია, მათემატიკის კურიკულუმებს დაემატოს მეტი პრაქტიკული დავალება, რაც მოსწავლის ცოდნა-გამოცდილებას შეესაბამება.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით:** სასურველია, კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. იკვეთებოდეს კურიკულუმში, რომ ყველა სამიზნე ცნება მუშავდება თითოეულ თემაში.

		კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტის რჩევით: სასურველია კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება
		მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: რეკომენდებულია კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.
		საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: კურიკულუმებში ყველა თემაში აისახოს ყველა ცნება
		საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: დაწყებით საფეხურზე - საგანში ჩვენი საქართველო - V კლასში: თემა იმერეთი - აკლია ცნებები დრო, სახელმწიფო, საზოგადოება, მრავალფეროვნება; თემა ქართლი - აკლია ცნება საზოგადოება. თემა აჭარა - სახელმწიფო, საზოგადოება. VI კლასში: თემა კახეთი - აკლია ცნება საზოგადოება; თემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი - აკლია ცნება საზოგადოება; თემა სამცხე ჯავახეთი - აკლია ცნებები დრო და საზოგადოება; თემა გურია - აკლია ცნება საზოგადოება; თემა რაჭა - ლეჩხუმი - აკლია ცნებები დრო და სახელმწიფო.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია ,რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება და ა.შ.)
		საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია რესურსები გამრავალფეროვნდეს, შესაძლოა, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო

		რესურსები შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, რადგან კურიკულუმში ასახული რესურსები მოიცავს საყოველთაო სახის რესურსებს, არ ჩანს კონკრეტული სკოლის, კათედრის, მასწავლებლის მიერ ორგანიზებული რესურსები.
		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით: სასურველია, მე-2 კლასის კურიკულუმში დაემატოს რესურსების ჩამონათვალი ,დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ.რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ლინკები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია მასწავლებელმა დაგეგმოს აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე მოახდინოს კურიკულუმის მოდიფიცირება.
		მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში ან თანმხლებ დოკუმენტებში გაიწეროს კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებული სწავლების - სირთულის დონის, თემის მიწოდების ფორმის ან დროის მართვის მიხედვით.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია, რომ შეფასება, ფაქტობრივი ცოდნის ფიქსაციასთან ერთად, უფრო მკაფიოდ ასახავდეს შემოქმედებითობას, მონაწილეობას, პროცესში ჩართულობას. სასურველია, ინტეგრირებული იყოს უწყვეტი უკუკავშირი, თვითშეფასება, თანატოლების შეფასება.
		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით: სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების

		კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით:** სასურველია, საკითხები გაერთიანდეს საკითხთა კლასტერებად.
		კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმში აისახოს შემოქმედებითი დავალებები კლასების შესაბამისად და სასწავლო პროცესი დაიგეგმოს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
		მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: დაწყებით საფეხურზე წვრილი ქვესაკითხები გაერთიანდეს საკითხთა კლასტერში მაგ: შეკრებისა და გამოკლების ჩამოთვლილი ბევრი წვრილი ქვესაკითხი გაერთიანდესსაკითხში - მოქმედებები რიცხვებზე და მათი შესრულების გზები.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით:** სასურველია, ყველა შემოქმედბით დავალებას შეფასების სქემა თან ერთვოდეს , რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები,მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება.
		ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დეტალურად გააცნოს შეფასების კრიტერიუმები და, შემდგომ, მოსწავლეები ჩართოს ურთიერთშეფასების პროცესში.
		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით: სასურველია, ყველა შემოქმედბით დავალებას შეფასების სქემა თან ერთვოდეს , რათა მომავალში მოსწავლეებს უკეთ მიეცეთ კონკრეტული განმავითარებელი შეფასებები,მოსწავლემ კი მოახერხოს თვითშეფასება.

ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	**ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია, სკოლამ შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი პროცესის მრავალფეროვნად განვითარებას.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, თუ როგორ მოხდა დამხმარე რესურსების შერჩევა.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** კურიკულუმებში სასურველია საკითხის გრაფაში დაწეროთ ის, რაც წერია დავალების იდეის გრაფაში, დავალების იდეაში კი - დავალების პირობა კრიტერიუმებამდე.
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია საბაზო საფეხურზე თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი დავალებები კურიკულუმშიც იყოს ასახული
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში სასურველია თუ გრაფაში ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები) ძირითადი ტექსტის გარდა, ანუ რომელზედაც დავალება მუშავდება,ჩაიწერება დამატებითი კონტექსტ-მაგალითები- ფილმი, საინფ.ტექსტი (საჭიროების შემთხვევაში, საკითხთან დაკავშირებული), ილუსტრაცია და ა.შ.
		მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: ყველა კლასის კურიკულუმში მიზანშეწონილია დაემატოს პრაქტიკული, რეალურ

		ცხოვრებაზე მიბმული დავალებები,სადაც მოსწავლე თავად გეგმავს, წარადგენს და აფასებს შედეგს (მაგ: ბიუჯეტის შედგენა, გამოფენის მოწყობა, პროექტის წარდგენა თანაკლასელების წინაშე).
		მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია, დაინერგოს საერთო სტანდარტი კურიკულუმებში ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის, სვეტების სათაურებისთვის(ზოგან გამოყენებულია „კომპლექსური დავალება“, ზოგან –„შემოქმედებითი დავალება“ ან „შუალედური მიზანი“)ეს ხელს შეუწყობს უკეთეს აღქმას და სკოლაში კურიკულუმების თანხვედრას.
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის კომპლექსური /შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია საბაზო საფეხურის - ქიმია მე-8 კლასის კურიკულუმში მიუთითოთ ძირითადი სახელმძღვანელო და კონკრეტული გვერდები, მე-8 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში კი დაემატოს ელექტრონული რესურსები, ჩარჩოში მითითებული ყველა ლინკი გადაამოწმდეს და გააქტიურდეს.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** რეკომენდებულია კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.
		საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: კურიკულუმებში ყველა თემაში აისახოს ყველა ცნება

		საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: საბაზო საფეხურზე ,საგანში გეოგრაფია -9 კლასში თემებში : საქართველო, დასავლეთ საქართველო და სამხრეთ საქართველო - აკლია ცნება გეოგრაფიული გარსი საგანში ისტორია - 9 კლასში თემაში : საქართველო და გარე სამყარო - აკლია ცნება - წყარო.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია ,რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება და ა.შ.)
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია, საბაზო საფეხურზე ლაბორატორიით აღჭურვამდე, მარტივი ექსპერიმენტებისათვის საჭირო ყველა რესურსი (პლასტიკატის ჭურჭელი, წყალი, სოდა, მარილი, შაქარი და აშ.) აისახოს კურიკულუმში ან მატრიცებში.
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: საბაზო საფეხურის მე-7 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმში სკოლის ეზოში განხორციელებული აქტივობები მაგ. სხვადასხვა ნიადაგში მცენარეთა დარგვა და დაკვირვება რეალურად საბუნებისმეტყველო კვლევაა, რაც შესაძლოა, ინტეგრირდეს კურიკულუმში შესაბამისი თემის შესწავლის დროს.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია, საბაზო საფეხურის მე-8 კლასის ისგ ბიოლოგიაში სრულად აისახოს ყველა დაგეგმილი სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით.
		მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში ან თანმხლებ დოკუმენტებში გაიწეროს

		კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებული სწავლების - სირთულის დონის, თემის მიწოდების ფორმის ან დროის მართვის მიხედვით.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია, რომ შეფასება, ფაქტობრივი ცოდნის ფიქსაციასთან ერთად, უფრო მკაფიოდ ასახავდეს შემოქმედებითობას, მონაწილეობას, პროცესში ჩართულობას. სასურველია, ინტეგრირებული იყოს უწყვეტი უკუკავშირი, თვითშეფასება, თანატოლების შეფასება.
		საბუნებისნეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: საბაზო საფეხურის წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი. სასურველია შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები.არსებული შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. შემაჯამებელ საუშაოებში შემცირდეს არჩევითბოლოიანი დავალებები, მეტი წილი მიენიჭოს ღია კითხვებს მაღალი სააზროვნოუნარების შემოწმების მიზნით.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისნეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** საბაზო საფეხურის ყველა შემაჯამებელი დავალების პირობას თან დაურთეთ შეფასების სქემა მოსწავლეს ტესტი შესთავაზეთ ნაბეჭდი ფორმით, დროის მართვის მიზნით მოსწავლე არ დაავალდებულოთ დავალების პირობის გადაწერაში.
		ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დეტალურად გააცნოს შეფასების კრიტერიუმები და, შემდგომ, მოსწავლეები ჩართოს ურთიერთშეფასების პროცესში.

ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	**ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია, სკოლამ შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი პროცესის მრავალფეროვნად განვითარებას.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, თუ როგორ მოხდა დამხმარე რესურსების შერჩევა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** კურიკულუმებში სასურველია საკითხის გრაფაში დაწეროთ ის, რაც წერია დავალების იდეის გრაფაში, დავალების იდეაში კი -დავალების პირობა კრიტერიუმებამდე.
		სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: საშუალო საფეხურზე კურიკულუმებში სასურველია თუ გრაფაში ტექსტი/ტექსტები (კონტექსტმაგალითები) ძირითადი ტექსტის გარდა, ანუ რომელზედაც დავალება მუშავდება,ჩაიწერება დამატებითი კონტექსტ-მაგალითები-ფილმი, საინფ.ტექსტი (საჭიროების შემთხვევაში, საკითხთან დაკავშირებული), ილუსტრაცია და ა.შ.
		მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: ყველა კლასის კურიკულუმში მიზანშეწონილია დაემატოს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე მიბმული დავალებები,სადაც მოსწავლე თავად გეგმავს, წარადგენს და აფასებს შედეგს (მაგ: ბიუჯეტის შედგენა, გამოფენის მოწყობა, პროექტის წარდგენა თანაკლასელების წინაშე).

		მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია, დაინერგოს საერთო სტანდარტი კურიკულუმებში ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის, სვეტების სათაურებისთვის(ზოგან გამოყენებულია „კომპლექსური დავალება“, ზოგან –„შემოქმედებითი დავალება“ ან „შუალედური მიზანი“)ეს ხელს შეუწყობს უკეთეს აღქმას და სკოლაში კურიკულუმების თანხვედრას.
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს ქვეშ მითითებული იყოს მხოლოდ ის კომპლექსური /შემოქმედებითი დავალება, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.
		საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია საშუალო საფეხური - ქიმია მე-10 კლასების კურიკულუმში მიუთითოთ ძირითადი სახელმძღვანელო და კონკრეტული გვერდები, ჩარჩოში მითითებული ყველა ლინკი გადაამოწმდეს და გააქტიურდეს.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** რეკომენდებულია კურიკულუმში დავალებების გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული.
		საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: კურიკულუმებში ყველა თემაში აისახოს ყველა ცნება
		საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის რჩევით: საშუალო საფეხურზე , საგანში გეოგრაფია 10 კლასში - აკლია გეოგრაფიული მოვლენა1 კლასში - III - IV - V თემებში ცნებების ნაცვლად ჩასმულია საკითხები. საგანში საქართველოს ისტორია 10 კლასი I თემაში აკლია ცნებები ძალაუფლება, მოვლენა/პროცესი, საზოგადოება; II თემაში აკლია ძალაუფლება, საზოგადოება, დრო; III თემაში - დრო. 11 კლასი II და III

		თემაში აკლია ცნება წყარო. საგანში ისტორია I, II, III თემებში აკლია ცნება წყარო
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია ,რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება და ა.შ.)
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში ან თანმხლებ დოკუმენტებში გაიწეროს კონკრეტული მაგალითები დიფერენცირებული სწავლების - სირთულის დონის, თემის მიწოდების ფორმის ან დროის მართვის მიხედვით.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია, რომ შეფასება, ფაქტობრივი ცოდნის ფიქსაციასთან ერთად, უფრო მკაფიოდ ასახავდეს შემოქმედებითობას, მონაწილეობას, პროცესში ჩართულობას. სასურველია, ინტეგრირებული იყოს უწყვეტი უკუკავშირი, თვითშეფასება, თანატოლების შეფასება.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია ,საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმების გამრავალფეროვნება, მაგ მე-12 კლასში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას მონაცემთა ანალიზში დაემატოს კრიტერიუმები და თითოეული კომპონენტისთვის ჩამოყალიბდეს შეფასების აღწერითი დონეები (მაგ:როგორ განისაზღვრება 0, 1 ან 2 ქულა კონკრეტულ კრიტერიუმში) ეს გაზრდის შეფასების

		გამჭვირვალობასა და სანდოობას, განსაკუთრებით თუ რამდენიმე მოსწავლე ერთდროულად შეფასდება.
		ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია, ყველა პედაგოგმა მოსწავლეებს დეტალურად გააცნოს შეფასებისკრიტერიუმები და, შემდგომ, მოსწავლეები ჩართოს ურთიერთშეფასების პროცესში.
ინდიკატორი N2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;	**ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სასურველია, სკოლამ შეიძინოს სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტი, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი პროცესის მრავალფეროვნად განვითარებას.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	**მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით:** სკოლის სასწავლო გეგმაშ მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, თუ როგორ მოხდა დამხმარე რესურსების შერჩევა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და დოკუმენტებს, რის შემდეგაც შეიცვალა 3.1.2.3 და 3.6.3.5 ინდიკატორების შეფასება და გადავიდა სრულ შესაბამისობაში. გარდა ამისა სკოლამ კონკრეტული ვადების (28/06/2025-28/06/2026) მითითებით გაწერა პროცესების უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ დაწყებით კლასებში საგნებში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე და საზოგადოება, მუსიკა, საათების განაწილების უზრუნველყოფა

კვალიფიციურ კადრებზე, რის შედეგადაც ინდიკატორები 3.1.2.4 და 2.2.2.4(დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა) გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები:

- შესაბამისობის გეგმა
- თანამშრომელთა ცნონები ნასამართლობის შესახებ
- სკოლის ვებ-გვერდის ლინკი

.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, მისიის, ხედვისა და ღირებულებების განაცხადები შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. მისიით სკოლა აკეთებს განაცხადს, რომ უსაფრთხო, თანასწორ, პოზიტიურ გარემოში, მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზაციას, მზად იქნებიან უპასუხონ თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს. განსაზღვრულია სკოლის ღირებულებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინკლუზიური, განვითარებზე ორიენტირებული, ჯანსაღი გარემოს შექმნას. შემდეგ. **თუმცა ხედვის განაცხადში ნაკლებად იკვეთება სკოლის იდეალური მომავლის სურათი. აქ უფრო ჩამოყალიბებულია სკოლის შეხედულება, თუ როგორი უნდა იყოს ხედვა და ნაკლებად ჩანს, როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.**

რჩევა: სასურველია, სკოლის ხედვა ჩამოყალიბდეს მისიიდან გამომდინარე და ასახავდეს სკოლისთვის იდეალური მომავლის სურათს. რეკომენდებულია, რომ ხედვაში:

- გაიწეროს სკოლის მიერ დანახული იდეალური მდგომარეობა (საითკენ ისწრაფვის სკოლა);
- განისაზღვროს წარმატების გაზომვის კრიტერიუმები.
- განისაზღვროს პერიოდი, რომელშიც სკოლა გეგმავს ამ მიზნის მიღწევას;

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიით და ღირებულებებით ნათლად ჩანს სასკოლო საზოგადოების მთავარი პრიორიტეტი: შექმნას უსაფრთხო, ჯანსაღი, მზრუნველი გარემო, სადაც თანასწორობის დაცვით თითოეული მოსწავლე მიაღწევს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, ისწავლის განსხვავებული აზრისა და კულტურის პატივისცემას. სკოლის ერთ-ერთი ღირებულებაა ურთიერთპატივისცემა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ინდივიდუალიზმისა და განსხვავებულობის პატივისცემა. სკოლაში საჭიროებათა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ხდება პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეისწავლოს სასკოლო თემის და საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით. კერძოდ, დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-6, 7 და 8 მუხლი ეხება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცედურებს. მეთოდოლოგის თანახმად სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული გეგმის შემუშავებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 10 აპრილის დირექტორის ბრძანება #2-07 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობაში არიან როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლები, ასევე მშობელთა, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლები. სასკოლო საზოგადოება ჩართული იყო ინფორმაციის შეგროვების, თვითშეფასების, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული გეგმის განხილვის პროცესში. სკოლა ფილოსოფიის შემუშავებისას დაეყრდნო სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის საფუძველზე შექმნილ SWOT ანალიზს, რომლითაც ჩანს, რომ სკოლამ შეისწავლა საკუთარი სასკოლო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. სასურველია SWOT ანალიზის შემუშავებისას სკოლამ შესაძლებლობებისა და საფრთხეების პუნქტში განიხილოს გარე ფაქტორები, რომელზე ზეგავლენაც ნაკლებად აქვს. წარმოდგენილ SWOT ანალიზში სკოლას შესაძლებლობებად და საფრთხეებად ძირითადად აღქმული აქვს ისეთი ფაქტორები, რომელზე ზეგავლენის მოხდენა თავადაც შეუძლია. საბოლოოდ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეთანხმდა სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს მიერ.

რჩევა: სასურველია, რომ SWOT ანალიზის შემუშავებისას სკოლამ უფრო მკაფიოდ გაარჩიოს შიდა და გარე ფაქტორები. კერძოდ, შესაძლებლობებისა და საფრთხეების სექციებში უნდა განიხილოს ის გარე ფაქტორები, რომელთაც თავად სკოლა ნაკლებად ან საერთოდ ვერ აკონტროლებს, თუმცა ისინი სკოლის საქმიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

მაგალითად, შესაძლებლობებად შეიძლება მიეთითოს სახელმწიფო საგანმანათლებლო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა, საფრთხეებად კი - მოსახლეობის მიგრაცია, რეგიონში სკოლის ასაკის ბავშვების შემცირება, ან საგანმანათლებლო პოლიტიკის ცვლილებები და ა.შ.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-12 მუსლი ითვალისწინებს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის გაზიარების მექანიზმებს. გაზიარების მექანიზმებია: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, საჯარო განხილვა, სოციალური ქსელი. სამუშაო ჯგუფის მიერ ფილოსოფიის შექმნის პროცესში, გამოყენებული იყო აზრის კვლევის სხვადასხვა მექანიზმები (პირისპირ ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს ჯგუფი). ტექსტი საყოველთაო შეთანხმებით იყო შემუშავებული, შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან და მიღებული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლის ფილოსოფიის გაზიარება მოხდა ღია შეხვედრებზე, საჯარო განხილვისას, სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში. საბოლოო სახით ფორმირებული სკოლის ფილოსოფია აისახა სასკოლო სასწავლო გეგმაში და საფუძვლად დაედო სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია ;

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადოებისა და სკოლაში შემომსვლელი პირებისთვის.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლა". სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-25 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი #(04/09/2024) სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება
- SWOT ანალიზის ფორმა;
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 აპრილის #2-07 ბრძანება;
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 2 სექტემბრის ოქმი #1;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას 2024 წლის 29 მარტის #2-06 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის ფილოსოფიის(მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, დოკუმენტის თანახმად სკოლა სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში სკოლა დირექტორის ბრძნებით ქმნის სამუშაო ჯგუფს მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების შემადგენლობით, უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 10 აპრილის დირექტორის ბრძანება #2-07 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობაში არიან როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლები, ასევე მშობელთა მოსწავლეთა თვითმმართველობისა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლები.

ინდიკატორი 1.2.1.1- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ 2024 წლის 2 სექტემბრის #1 ოქმით დამტკიცებული სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლის შვიდწლიანი (2024-2030 წლები) განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მომზადებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 აპრილის #2-07 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოცემულია ცხრილის სახით და მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, ამოცანების შესაბამის აქტივობებს, განხორციელების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებსა და საჭირო რესურსებს. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის გამოყენებულია გარემოს SWOT ანალიზის მეთოდი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სკოლამ უზრუნველყო პრობლემების იდენტიფიცირება და პრიორიტეტების გადაჯგუფება. განისაზღვრა პრიორიტეტული მიზნები და ამოცანები, რომლებიც ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს 8 პრიორიტეტულ მიმართულებას: სასწავლო პროცესის მართვა, ადამიანური რესურსის მართვა, სასწავლო პროცესის მართვა და ინოვაციების დანერგვა, ინფრასტრუქტურისა და რესურსის განვითარება, მშობელთა ჩართულობა სასწავლო სააღმზრდელო პროცესში, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა, სკოლის

ორგანიზაციული განვითარება. **აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული მიზნების ზოგიერთი ფორმულირება საჭიროებს დაზუსტებას, რათა უკეთ ასახოს მიზნის გრძელვადიანი ხედვა და არ შეიზღუდოს ტექნიკური მოქმედებების დონეზე. მიზნობრივი ფორმულირებები ზოგ შემთხვევაში არ პასუხობს სტრატეგიული მიზნის დონეს და წარმოდგენილია ქმედებითი ამოცანების ფორმით, რაც მიზნის კონცეპტუალურობასა და მისიასთან კავშირს ამცირებს.**

რჩევა: სასურველია დაზუსტდეს სტრატეგიული მიზნების ფორმულირება. მაგალითად არსებული ვარიანტი:

სტრატეგიული მიზანი: სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, ორგანიზაციული განვითარება;

შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სტრატეგიული მიზანი: სკოლის პროფესიულ და ორგანიზაციულ კულტურაზე დაფუძნებული განვითარება;

ხოლო სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება შესაძლოა ამ მიზნის ერთ-ერთი ამოცანა იყოს.

ინდიკატორი 1.2.1.2- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 2 სექტემბრის #1 ოქმით დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმაში იკითხება სტრატეგიული გეგმის მიზნები, თუმცა შეცვლილი არის მიზნების ფორმულირებები. ამ დოკუმენტში შეტანილი არის რელევანტური მიზნები და ამოცანები, თუმცა სამოქმედო გეგმაში გაწერილი სტრატეგიული მიზნების ფორმულოირება მოსაყვანია შესაბამისობაში სტრატეგიული გეგმაში ასახულ სტრატეგიული მიზნების ფორმულირებებთან.

რჩევა: შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სტრატეგიული მიზნების ფორმულირებები სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

ინდიკატორი 1.2.1.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტანდარტით მოთხოვნილი ყველა კომპონენტი. სკოლის მიერ სამოქმედო გეგმაში შეტანილ სტრატეგიულ მიზნებს აქვს რელევანტური ამოცანები და აქტივობები შერჩეული. სამოქმედო გეგმაში კონკრეტულ აქტივობაზე განსაზღვრული პირები და მათი სამუშაო აღწერილობები არის ურთიერთდაკავშირებული.

1.2.2.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის(მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ როგორ გეგმავს სკოლა სტრატეგიის შესრულების მონიტორინგს. დოკუმენტის თანახმად, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში მომზადდება ყოველ სამ წელიწადში და სტრატეგიული გეგმის მეშვიდე წლის ბოლოს, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სამოქმედო გეგმის აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. მონიტორინგის შედეგად განხორციელებულ აქტივობებს მიენიჭება ერთ-ერთი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით

მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება მონიტორინგის ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების / ამოცანის / აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“.

ინდიკატორი 1.2.2.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება. დოკუმენტის მეთერთმეტე მუხლის შესაბამისად, სკოლა გეგმავს მონიტორინგი განახორციელოს ანგაიშების წარმოდგენის მეთოდით. სტრატეგიული გეგმის შესრულების შეფასება ხორციელდება მესამე და მეშვიდე წლის ბოლოს, ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება - ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

ინდიკატორი 1.2.2.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა. დოკუმენტის მეთორმეტე მუხლის შესაბამისად, სკოლა გეგმავს სტრატეგიული გეგმისა და წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშის სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობას შემდეგი გაზიარების არხებით: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა სკოლის სტენდი.

ინდიკატორი 1.2.2.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიაზრებს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სტრატეგიული გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის, კერძოდ, დოკუმენტის მეტერთმეტე მუხლის მეცხრე პუნქტის მიხედვით, ანგარიშების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების შემდგომ, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სკოლამ შესაძლოა განახორციელოს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და გეგმის ცვლილება.

ინდიკატორი 1.2.2.4 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 1 სექტემბრის №1 ოქმით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. დოკუმენტის მეცხრე მუხლი განსაზღვრავს იმ ძირითადი ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც აუცილებელია სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში თითოეული პოზიციისთვის. ამ დოკუმენტის საფუძველზე სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის №2-59 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავს სკოლაში არსებულ თითოეულ თანამდებობრივ პოზიციასთან დაკავშირებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს. აღნიშნული ვალდებულებები ასახულია

თანამშრომელთა შრომით ხელშეკრულებებშიც. ბრძანების დანართად წარმოდგენილია სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, სადაც ასახულია როგორც არსებული პოზიციები, ისე კოლეგიალური ორგანოები.

რჩევა: სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა უნდა შეიცვალოს ისე, რომ სრულად ასახავდეს სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის №2-59 ბრძანებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს.

ინდიკატორი 3.1.1.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული პოზიციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებები ადასტურებს, რომ სკოლის სტრუქტურის თითოეულ წევრს აქვს გაცნობიერებული საკუთარი მოვალეობები და როლი საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განხორციელებაში. თანამშრომელთა ფუნქციური აღწერილობები რეალურად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას. აღნიშნული დასტურდება როგორც კოლეგიალური ორგანოების შეხვედრების შინაარსით, ისე განხილული საკითხების სპექტრით. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, საშტატო განრიგი, სამუშაო აღწერილობები, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ასევე სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები და შრომითი ხელშეკრულებები ქმნის საფუძველს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სწორად გადანაწილებისთვის.

ინდიკატორი 3.1.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ„ 2024 წლის 21 ნოემბრის #2-59 ბრძანება
- სკოლის წესდება
- შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

- ხელშეკრულებები სკოლის თანამშრომლეთან
- საშტატო განრიგი
- კოლეგიალური ორგანოების ოქმები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული და სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტში განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მიზნები და ამოცანები, ასევე მითითებულია მართვის ციკლი და სტრატეგიები, სამუშაო აღწერილობების შემუშავების პრინციპები, კადრების შერჩევის, პროფესიული განვითარების, სამუშაო ადგილზე სოციალიზაციისა და შეფასების წესები. გაწერილია თანამშრომლის შერჩევის მიზნით კონკურსის ჩატარების პროცედურებიც. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და სკოლაში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებისას სრულად ითვალისწინება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნები. პედაგოგიური კადრების შერჩევა მიმდინარეობს ვაკანსიის გამოცხადების გზით, რაც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს - „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხორციელდება „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის“ შესაბამისად, და სკოლაში დასაქმებულები სწორედ ამ სქემით განსაზღვრულ სტატუსებს ატარებენ. ადამიანური რესურსების მართვის პროცესი ასევე რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებებითა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „თანამდებობრივი ინსტრუქციებით“. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, და თითოეული თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებს მასთან გაცნობის ფაქტს. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ პერსონალის მართვასთან დაკავშირებით შემუშავებული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების ეფექტიან და სამართლებრივ მართვას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დააზუსტოს მასწავლებლების გარდა კიდევ რომელ პოზიციებზე შესარჩევ პირს ეხება კონკურსის წესი.

ინდიკატორი 3.1.2.1. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის პერსონალის საქმიანობის სისტემატური შეფასება, რაც ხელს უწყობს როგორც ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს მიზნობრივ პროფესიულ განვითარებას.დოკუმენტით გათვალისწინებულია აგრეთვე რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. სკოლის დირექტორის განმარტებით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აფასებს კადრების საჭიროებებს მომავალი წლისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ვაკანსიას წინასწარ აცხადებს. ამ ეტაპისთვის სკოლაში ვაკანტურია დაწყებითი კლასების „მე და საზოგადოების“ , ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლის პოზიციები, აგრეთვე ენისა და მეტყველების სპეციალისტის პოზიცია, რაზედაც გამოცხადებულია ვაკანსიები. სამსახურებრივ დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება.

შეფასება: ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალის სამსახურში მიღებისას აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს როგორც ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ისე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებით. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვაკანტური საათების შესავსებად მასწავლებელთა კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის სრული დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ვაკანტური პოზიციისთვის შესაბამისი საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც საჯაროდ ქვეყნდება

პლატფორმაზე teacherjobs.ge. კონკურსის წარმართვის პროცესში დირექტორის ბრძანებით ყალიბდება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კომისიაში შედიან სკოლის წარმომადგენლები, მოწვეული სპეციალისტები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლები, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წევრები, ქარელის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის და პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები. რაც შეეხება ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევას, პროცედურები ასეთ შემთხვევაში დაზუსტებული არ არის. ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებზე ვაკანსია სკოლამ გამოაცხადა პლატფორმაზე teacherjobs.ge. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლის მიერ პერსონალის შერჩევის პროცედურები ძირითადად ითვალისწინებს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებს და ხელს უწყობს პოზიციის შესაბამისი კადრების ეფექტიან შერჩევასა და დასაქმებას. ვიზიტის დროს განხორციელდა პერსონალის პირადი საქმეების გადახედვა. დოკუმენტაციაში არც ერთ თანამშრომელს, გარდა სკოლის ექიმისა, არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები ნასამართლეობის შესახებ, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა ცნობები ნასამართლობის შესახებ.

შეფასება: ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში ვიზიტისას პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებით დადასტურდა, რომ თანამშრომელთა უმრავლესობის კვალიფიკაცია შეესაბამება როგორც მოქმედ კანონმდებლობას, ისე დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, დაწყებით საფეხურზე ისეთი საგნების, როგორიცაა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე და საზოგადოება და მუსიკა, საათები გადანაწილებულია იმ პედაგოგებზე, რომელთაც აქვთ დაწყებითი კლასების კომბინირებული საგნების სწავლების კომპეტენცია, თუმცა არ აქვთ აღნიშნულ საგნებზე კონკრეტული სპეციალიზაცია. ვიზიტის პერიოდში სკოლამ უკვე გამოაცხადა ვაკანსიები აღნიშნულ საგნებზე კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც იგეგმება აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება 2026 წლის 28 ივნისამდე.

ინდიკატორი 3.1.2.4 - მეტწილ შესაბამისობაშია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულ პირთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და რეალიზებას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს და კათედრების ოქმებით. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სკოლის დირექტორი საკმაოდ აქტიურად რთავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების შეთანხმებულ და გამჭვირვალე მართვას. აღნიშნული დასტურდება სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი ოქმებით, დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფებითა და შესაბამისი სხდომების ოქმებით. სკოლაში არსებული საზიარო სივრცეები - სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა - ხელს უწყობს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 3.1.2.5-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 19–21-ე მუხლებით რეგულირდება შესრულებული სამუშაოს შეფასების, თანამშრომელთა კარიერული და პროფესიული განვითარების, ასევე მოტივაციის გაზრდის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია წახალისების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. აღნიშნული წახალისება გამოიყენება პროფესიულ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის, შრომითი ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, სირთულის ან მნიშვნელობის მქონე სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის.

ინდიკატორი 3.1.2.6-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- შინაგანაწესი
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები
- ბრძანებები სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ
- თანამშრომელთა წახალისების ბრძანებები
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- თანამშრომლის სამუშაოზე აყვანის კონკურსის დოკუმენტაცია
- შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის ელექტრონული ბაზა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტები. დოკუმენტების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურებია სკოლის დირექცია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. მათი ძირითადი ფუნქციებია: სკოლის პროცესებთან

დაკავშირებული რისკების შეფასება; სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხორციელებული პროცესების შემოწმება, დასკვნების ფორმირება და უკუკავშირის უზრუნველყოფა, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ შედგენილი ოქმები და გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სკოლაში განხორციელებული ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებები ყველა შემთხვევაში მხოლოდ კურიკულუმის დანერგვის შემოწმებას უკავშირდებოდა და არ გავრცელებულა სკოლის მმართველობით და დამხმარე პროცესებზე. გარდა ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამოქმედო გეგმა. თუმცა, 2024 წლის 5 სექტემბრის #3 სხდომის ოქმში დაფიქსირებულია ასეთი გეგმის შემუშავების საჭიროება, რაც მიუთითებს საკითხის გააზრებასა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის მზაობაზე.

რჩევა: სკოლის ხარისხის მართვის პრაქტიკა მოვიდეს თანხვედრაში ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულ მექანიზმებთან. რეკომენდებულია სკოლამ დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად შერჩევითად შეაფასოს სკოლის ყველა პროცესის ხარისხი(და არა მხოლოდ კურიკულუმის დანერგვა), შეიმუშავოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების მონიტორინგი.

ინდიკატორი 3.2.1.1. შესაბამისობაშია

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

2024-25 სასწავლო წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად სკოლას დაგეგმილი აქვს აქტივობები ადამიანური რესურსის განვითარებისთვის, კერძოდ თანამშრომელთა პროფესიული საჭიროების კვლევა, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების/სემინარების მოძიება, შიდა სასკოლო ტრენინგების დანერგვა. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული აქტივობები განხორციელდა და ხარისხის მართვის ჯგუფმა საკმაოდ აქტიურად იმუშავა.

რჩევა: მიზანშეწონილია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები განხორციელდეს სისტემურად და დოკუმენტურად გამჭვირვალედ. რეკომენდებულია პროფესიული საჭიროებების კვლევის შედეგების დაფიქსირება, ტრენინგებისა და სემინარების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, აგრეთვე შიდა სასკოლო ტრენინგების გეგმის ჩამოყალიბება. ამგვარი მიდგომა გააუმჯობესებს ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანობას და გააძლიერებს სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების სისტემას.

ინდიკატორი 3.2.1.2. შესაბამისობაშია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების საკითხებს, აყალიბებს ზოგად პრინციპებს. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული განვითარებისთვის სკოლა საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციასთან და საჭიროების შესაბამისად მიმართავდა მათ გადამზადების მოთხოვნით. გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკა სისტემატურად მარაგდება მეთოდური ლიტერატურით, რომლებსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ პროფესიული თვითგანვითარების მიზნით. ასევე, სკოლა აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას არსებული ტრენინგებისა და სემინარების შესახებ, რაც ხელს უწყობს მათი ჩართულობის ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3. შესაბამისობაშია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას, დირექტორის ბრძანებით, დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სკოლაში ახალი თანამშრომელი არ დაუსაქმებიათ, დოკუმენტში გაწერილი პროცედურები ნათლად აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალ თანამშრომელთან ადეკვატური და ეფექტური მუშაობის დაწყება. ადაპტაციის პროცესის ფარგლებში პასუხისმგებელი პირი ახალ თანამშრომელს აცნობს სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, მიზნებს, ღირებულებებს, სტრატეგიას, შინაგანაწესსა და სხვა მოქმედ რეგულაციებს. ასევე, განუმარტავს თანამდებობრივ ინსტრუქციებს და სამუშაოს შინაარსს.

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 და 21-ე მუხლები განსაზღვრავს სკოლის მიდგომებს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული მუხლები ასახავს, რომ სკოლა ზრუნავს პერსონალის უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე როგორც სისტემური კვლევის, ისე პერსონალისგან წამოსული უშუალო ზეპირი საჭიროებების საფუძველზე. შრომითი მოტივაციის გასაზრდელად შინაგანაწესით გათვალისწინებულია წახალისების რამდენიმე ფორმა, მათ შორის: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქარი, ერთჯერადი ფულადი პრემია და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
- საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლას 2025 წლის 27 მარტის №2-16 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა. დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის პროცესებსა და კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას, პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, დასკვნების მომზადებას, უკუკავშირის გაცემასა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. იგი მოიცავს სასკოლო პროცესების განხორციელების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს. აღნიშნული მიმართულებით პასუხისმგებელია სკოლის დირექცია და ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი.

ინდიკატორი 3.3.1.1 შესაბამისობაშია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას იდენტიფიცირეებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. მმართველობით პროცესებად სკოლა მოიაზრებს სტრატეგიულ და ყოველწლიურ დაგეგმვასა და ხარისხის უზრუნველყოფას. ძირითადი პროცესებია კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დამხმარე პროცესები მხარს უჭერს ძირითადი პროცესების ეფექტიან განხორციელებას. სკოლაში იდენტიფიცირებულია შემდეგი დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლეთა სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება და კარიერული განვითარება.

ინდიკატორი 3.3.1.2 შესაბამისობაშია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 თებერვლის #2-08 ბრძანებით დამტკიცებულია ”განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომელიც განსაზღვრავს განცხადების/საჩივრების განხილვის ზოგად წესსა და ვადებს, კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში საჩივრის განხილვის ზოგად წესსა და ვადებს, დისციპლინური წარმოებისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესებსა და ვადებს, ვაკანსიის შესავსებად ჩატარებული კონკურსის გასაჩივრების წესსა და ვადებს, შიდასასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესსა და ვადებს, საჩივარის წარდგენისთვის აუცილებელ რეკვიზიტებს. დოკუმენტის მიხედვით, საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი, სკოლის დისციპლინური კომიტეტი ან სამეურვეო საბჭო . საჩივრის წარდგენის უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ პირს, რომლის კანონიერ ინტერესზე გავლენას ახდენს სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან სკოლის ადმინისტრაციის/მასწავლებლის სხვა ქმედება. დოკუმენტით განსაზღვრული საჩივრის სახეები, ფორმა, მისი განხილვის პროცედურები და ვადები.

ინდიკატორი 3.3.1.3 შესაბამისობაშია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას გააჩნია დამტკიცებული შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესს. დოკუმენტის თანახმად, სკოლის დირექცია საჩივრებზე რეაგირებს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“ მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესში, სკოლის თანამშრომლებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დადებულ ხელშეკრულებებში ჩართულია ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის ან მასწავლებლის შესაძლო არამართლზომიერი ან უკანონო ქმედება, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას სკოლის სამეურვეო საბჭოში. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის 2025 წლის 26 თებერვლის №2-08 ბრძანებით დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის მეოთხე თავი აზუსტებს თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრების განხილვის კონკრეტულ პროცედურებს.

ინდიკატორი 3.3.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- ხელშეკრულებები თანამშრომლებთან
- ხელშეკრულებები მშობლებთან

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას 2024 წლის 21 ნოემბრის #2-62 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელშიც გაწერილი აქვს სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. დოკუმენტის მიზნებს წარმოადგენს მათ შორის საზოგადოების როლის ზრდა სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში, საზოგადოების ინფორმირება სკოლის საქმიანობისა და სკოლის მიერ მისაღები და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მიზნით საკმაოდ აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს. აღნიშნულ სივრცეებში სკოლა ინტენსიურად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება და უკუკავშირი როგორც სოციალურ ქსელში სკოლის ვებგვერდზე, ასევე, დამრიგებლების მიერ შექმნილ სოციალურ ჯგუფებსა და სასაუბროებში. მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაცია განთავსებულია აგრეთვე სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფებზე.

რჩევა: გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი 2024 წლის 21 ნოემბრის #2-62 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის მეთერთმეტე მუხლში, სადაც უკუკავშირის ანალიზზე პასუხისმგებელ პირად საქმისმწარმოებელთან ერთად განსაზღვრულია სკოლაში არარსებული საშტატო ერთეული;

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობის შესაბამისად და არის წარმომადგენლობითი. კოლეგიალური ორგანოების ოქმებით დასტურდება მშობლებისა და მოსწავლეების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორიცაა სკოლის ბიუჯეტის განხილვა, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება/დამტკიცება, უსაფრთხოების საკითხები. სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის დასტრუქტურული ერთეულებისა წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორი 3.3.2.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი
- კოლეგიალური ორგანოების ოქმები
- სამუშაო ჯგუფების ოქმები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლამ ვიზიტამდე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც 2026 წლის აპრილამდე ჰქონდა დაგეგმილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და სკოლის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მიღება უფლებამოსილი ორგანიზაციიდან, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა წარმოდგენილი არ ყოფილა. თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ(დასკვნა #5002522025; 13/05/2025) და მიმართვა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, ასევე სახანძრო უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, რომელიც სკოლის სახსრებითაა დამონტაჟებული. გაკვეთილების მიმდინარეობისას დერეფნებში მორიგეობენ მასწავლებელები. დამრიგებლები ადგენენ მოსწავლეთა გაცდენის

მიზეზს და უნებართვო გაცდენების შემთხვევაში აცნობებენ დირექციას. სკოლას აქვს საევაკუაციო გეგმები, რომელიც გამოკრულია სკოლის კორიდორებში., კორიდორებშივე არის დამონტაჟებული სახანძრო დაფა ცეცხლმაქრებითა და შესაბამისი ინვენტარით.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

ინდიკატორი 3.4.1.1. შესაბამისობაშია

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი,რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს. სკოლას პირველ სართულზე აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. სკოლის ექიმმა წარმოადგინა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალი.

ინდიკატორი 3.4.1.2 - ის დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის 2 სექტემბერს სამეურვეო საბჭოს #1 სხდომაზე დამტკიცებული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მეხუთე მუხლი არეგულირებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, დარაჯი და დამლაგებლები, განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისთვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. სკოლაში განათავსებულია უსაფრთხოების კამერები გარე და შიდა პერიმეტრზე. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა განთავსებულია სკოლის დირექტორის კაბინეტში, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს. სკოლაში დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირება ხდება შინაგანაწესით განსაზღვრული სახდელებით.

ინდიკატორი 3.4.1.3 - ის დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დირექცია, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ კლასის დამრიგებლებს. სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მექანიზმებს, ინსტრუქციის თანახმად სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია ძალადობის შესახებ შეტყობინებების მიღებასა და რეაგირებაზე. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა ახორციელებს საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს, რომელთა მიზანია ძალადობის პრევენცია და ცნობიერების ამაღლება. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო. გაკვეთილებისა და დასვენების პერიოდში დერეფნებში წესრიგს აკონტროლებენ მორიგე მასწავლებლები.

ინდიკატორი 3.4.1.4 - ის დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესრულებასთან შესაბამის ყველა აუცილებელ რესურსს. მოწესრიგებულია სველი წერტილები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრულია ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური დასუფთავების სტანდარტული მოთხოვნები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც მკაფიოდ იკითხება მათი ვალდებულებები. ვიზიტის დროს შენობის დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სუფთა და უსაფრთხო გარემო, სკოლის ყველა სართულზე დერეფნებში და სველ წერტილებში ხელმისაწვდომია ტექნიკური წყალი, თხევადი საპონი, ქაღალდი, ნარჩენების ურნა. ასევე მოწესრიგებულია სკოლის ეზო და მიმდებარე ტერიტორია. სკოლის ექიმი მუდმივად ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ზედამხედველობას და საჭიროებისამებრ აძლევს რეკომენდაციებს დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს.

შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1.5-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, რომელიც დანიშნულია ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის MES 3250000325164 ბრძანებით და ეს ინფორმაცია დევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე https://t.ly/0jEtN . სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის #2-56 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრავს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის წესებს.

ინდიკატორი 3.4.1.6-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის #2-56 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნული წესი არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითად პრინციპებს, პროცედურებსა და სხვადასხვა პირების უფლებამოვალეობებს. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობას და ზღუდავს მათზე წვდომას მესამე პირებისთვის. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის და მოცულობის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შესაბამისი თანხმობის მოპოვებას ან პერსონალური ინფორმაციის დაშიფვრას, რათა მონაცემთა უსაფრთხოება სრულად იყოს დაცული. სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი 3.4.1.7-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებულთა და მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის სტრატეგიულ მიდგომებს, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და

მონიტორინგის პროცესს. ამჟამად მიმდინარეობს პროცესებზე დაკვირვება და სკოლა საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ცვლილებებს ასახავს საკუთარ საქმიანობაში.

შესაბამისად, დაკმაყოფილებულია ინდიკატორი 3.4.1.8-ის მოთხოვნა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ
- მიმართვა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელიპირის დანიშვნის ბრძანება
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პსუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი
- პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის დანიშვნის ბრძანება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
- ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი
- ხელშეკრულებები პერსონალთან

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე, სსიპ – ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლა (ს/კ 240907934) ფუნქციონირებს სოფელ ბერძენაულში, 18,300 კვ.მ მიწის ფართობზე (საკადასტრო კოდი 68.03.46.001), სადაც განთავსებულია ორსართულიანი სკოლა 683.3 კვ.მ შენობით. აღნიშნული ქონება სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა სარგებლობის უფლებით არსებობის ვადით, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის პერიოდში ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა შენარჩუნებული იქნება. შენობაში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, დირექციის, ექიმის კაბინეტები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სველი წერტილები. ეზოში დამატებით მდებარეობს გარესაპირფარეშო და საქვაბე. სკოლის შენობა საჭიროებს რეაბილიტაციას. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით: მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლეთა ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, ასევე სასკოლო დაფებით. სკოლის ბალანსზეა 105 ერთადგილიანი მერხი და სკამი, 12 სასკოლო დაფა და 14 კომპიუტერი, რომლებიც სრულად მუშა მდგომარეობაშია. ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და დამხმარე ლიტერატურა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ გააჩნია სპორტდარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გააჩნია რესურსები სპორტული აქტივობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის, თუმცა ამ ეტაპზე შშმ მოსწავლეებს არ აქვთ წვდომა შენობის მეორე სართულზე, რაც ინფრასტრუქტურულად დასარეგულირებელი საკითხია.. სკოლას აქვს ღია სპორტული მოედნები ბუნებრივი საფარით, სადაც ამინდის შემთხვევაში იმართება ფიზიკური კულტურისა და სპორტის გაკვეთილები, ხშირად აქ ეწყობა სხვადასხვა ტიპის სპორტული აქტივობები თემისა და მომიჯნავე სკოლების ჩართულობით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ სარგებლობა მეორე სართულზე განთავსებული კომპიუტერული ლაბორატორიით და ბიბლიოთეკით , რომელსაც ემსახურება ბიბლიოთეკარი. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლითეკითა და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესები, რომლებითაც რეგულირდება სკოლის არსებული მატერიალური რესურსით სარგებლობის საკითხები. დოკუმენტების მიხედვით და სკოლის განმარტებით, სურვილის შემთხვევაში, აღნიშნული სივრცეებით სარგებლობა შეუძლიათ მშობლებსაც.

ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სასკოლო ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია გრიფირებული სასწავლო წიგნები, მხატვრული ლიტერატურა და მეთოდური ლიტერატურა, რომლებიც თაროებზე მოწესრიგებულად არის განლაგებული. სივრცე აღჭურვილია საჭირო ავეჯით და უზრუნველყოფს მოსწავლეთა დამოუკიდებელ წვდომას რესურსებზე. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები მომზადებულია სტანდარტული ფორმით. წარმოდგენილ იქნა საბიბლიოთეკო კატალოგი. წიგნები შემთხვევითობის პრინციპით გადამოწმდა და დადასტურდა, რომ წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკისთვის დადგენილი წესების შესაბამისად. ბიბლიოთეკას ჰყავს პასუხისმგებელი პირი - ბიბლიოთეკარი. ვიზიტის დღეს მოგვეწოდა მეთოდური მასალების, სახელმძღვანელოებისა და პერიოდული გამოცემების მიღება-ჩაბარების შესაბამისი აქტები, საბიბლიოთეკო კატალოგი.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში სწავლობს 2 სსსმ მოსწავლე , შშმ მოსწავლე სკოლას არ ჰყავს. სკოლას არ აქვს რესურსოთახი. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული, კერძოდ, შშმ პირებს წვდომა აქვთ მხოლოდ პირველ სართულზე განთავსებულ

ფართებზე, პირველ სართულზევეა ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის მეორე სართული არ არის ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლამ ვიზიტამდე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც სკოლის მეორე სართულზე წვდომის უზრუნველყოფა შშმ პირებისთვის და რესურსოთახის მოწყობა დაგეგმილია 03.04.2025-03.04.2027 წწ პერიოდისთვის.

შესაბამისად 3.5.1.4. ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა აქტიურად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კონკურსებსა და ღონისძიებებში. მისი ინიციატივით რეგულარულად იმართება სპორტული შეჯიბრებები თემის და მიმდებარე სკოლების მონაწილეობით. არაფორმალური საგანმანათლებლო და გასართობი აქტივობებისთვის გამოიყენება როგორც საკლასო ოთახები და დერეფნები, ისე სკოლის ეზო. ინიციატივებში ჩართულია პედაგოგიური კოლექტივი, სამოქალაქო განათლებისა და სპორტული კლუბები, ასევე მოსწავლეები და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

3.5.1.5. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის წესი
- ინვენტარიზაციის მასალები
- საბიბლიოთეკო კატალოგი
- კლუბების მასალები
- სოციალური ქსელი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ფოტომასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ფუნქციონირებს ინტერნეტზე დაერთებული 14 კომპიუტერი, რომელთაგან 5 განთავსებულია სამასწავლებლოსა და ადმინისტრაციის სივრცეში, 8 – კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხოლო 1 – ბიბლიოთეკაში. სკოლას აქვს 1 პროექტორი და 2 მულტიფუნქციური პრინტერი. არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა აქტიურად გამოიყენება როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციული პროცესების მიმდინარეობისთვის. სკოლის შენობა სრულად დაფარულია Wi-Fi ქსელით, რაც განხორციელდა სკოლის ფინანსური რესურსებით. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი

შესაბამისად, დაკმაყოფილებულია ინდიკატორი 3.6.1.1-ის მოთხოვნა.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის №2-63 ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში არსებული ტექნიკური საშუალებების სარგებლობის პირობებს. დოკუმენტის და გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ კომპიუტერული ტექნიკა და

ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს მათ თანაბარ წვდომას დადგენილი წესის შესაბამისად – მომხმარებლებს შეუძლიათ ტექსტების რედაქტირება, საჭირო მასალების მოძიება და ჩამოტვირთვა, ელექტრონული რესურსებით სარგებლობა, ლიტერატურაზე მუშაობა, ელფოსტის გამოყენება და სასწავლო პროგრამებთან მუშაობა.

ინდიკატორი 3.6.1.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიის გამოყენების წესი
- ინვენტარიზაციის მასალები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტაციის მიღების, რეგისტრაციის, შენახვისა და ელექტრონულად/მატერიალურად დამუშავების პროცედურებს. სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით – Eflow, ხოლო სკოლის ადმინისტრაციული, პერსონალისა და მოსწავლეთა ინფორმაცია ინტეგრირებულია eSchool.emis.ge სისტემაში, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. საქმისწარმოების წესში გაწერილია დოკუმენტების ტიპები, ფორმები და რეგისტრირების პროცედურები, შემოსული და გასული კორესპონდენციის, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, აღრიცხვა და შენახვა, დავალებების შესრულების კონტროლის მექანიზმი, ინფორმაციის გაცემის წესი და სხვა შესაბამისი პროცესები. დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხდება როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად. ვიზიტისას ექსპერტები გაეცნენ სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალებს, მათ შორის: ბრძანებების, შემოსული/გასული დოკუმენტაციის, შრომითი ხელშეკრულებებისა

და კორესპონდენციის ჟურნალებს. რეგისტრაციის ჟურნალები არის დანომრილი, აკინძული, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობისა და მთლიანობის დაცვას.

ინდიკატორი 3.6.2.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის Eflow სისტემით. სკოლას აქვს მონაცემთა ბაზა eSchool.emis.ge-ზე, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. სკოლა სარგებლობს ოფიციალური ელექტრონული ფოსტით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი 3.6.2.2 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის დროს გავეცანით სკოლის eSchool.emis.ge პლატფორმაზე არსებულ პროფილს. სკოლის შესახებ ინფორმაცია სრულად არის ასახული სკოლის ბარათში და მოიცავს ინფორმაციას სკოლის მისამართის, იურიდიული და საგანმანათლებლო სტატუსის, საიდენტიფიკაციო კოდის, სექტორის, საკონტაქტო მონაცემებისა და საბანკო რეკვიზიტების შესახებ. პროფილზე სრულყოფილად არის ატვირთული მასწავლებელთა შესახებ ინფორმაცია შესაბამისი დოკუმენტაციით. სრულადაა შევსებული ინფორმაცია მოსწავლეთა და მათი მშობლების შესახებ. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხაც ხელმისაწვდომია.

ინდიკატორი 3.6.2.3 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას და აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას რესურსცენტრს, შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია

ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების ვადები და პროცედურები. სკოლა ყოველწლიურად, 10 დეკემბრამდე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს და უზრუნველყოფს მისი გამოქვეყნებას „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

ინდიკატორი 3.6.2.4- ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალები
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებსა და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე skolebi.emis.ge-ზე შესაბამისი მოქმედი გვერდი : https://t.ly/mZngU . სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს სკოლის სოციალური გვერდს(https://www.facebook.com/berdzenauli.sajaroskola), სამოქალაქო კლუბის სოციალურ გვერდს (კლუბი სხივის ლინკი) და დახურულ ჯგუფებს, რომელთა დახმარებითაც სასკოლო საზოგადოების წევრები და დაინტერესებული პირები იღებენ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დაინტერესებულ პირს ასევე შესაძლებლობა აქვს, აგრეთვე, კითხვით მიმართოს სკოლას ელექტრონულ ფოსტაზე. სასკოლო სივრცეში თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული საინფორმაციო დაფა, დაფაზე რეგულარულად ხდება სიახლეების განთავსება. სოციალური ქსელის მართვაზე

პასუხისმგებელია საკოლის საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე.

ინდიკატორი 3.6.3.1 - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის სოციალურ ქსელში რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. სიახლეების სისწორე და სანდოობა დასტურდება შესაბამისი ფოტომასალით, რომელიც ასახავს ჩატარებულ ღონისძიებებს, პროექტებსა და სპორტულ/საგანმანათლებლო შეჯიბრებებს. სკოლის ადმინისტრაცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეზე და უზრუნველყოფს მის კონტროლს. სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის შესაბამისად, საქმისმწარმოებელი არის სოციალური გვერდის ადმინისტრატორი.

ინდიკატორი 3.6.3.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის მეთერთმეტე მუხლი არეგულირებს უკუკავშირის შედეგების ანალიზის საკითხებს. დოკუმენტის თანახმად, უკუკავშირების ანალიზის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას შემდგომი განვითარებისათვის. დოკუმენტით განსაზღვრულია ანალიზის განხორციელებაზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეული. სკოლას აქვს მზაობა გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები, სურვილები და ინიციატივები საქმიანობის პროცესში.

ინდიკატორი 3.6.3.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე skolebi.emis.ge-ზე შესაბამისი გვერდი : https://t.ly/mZngU , სადაც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

3.6.3.4.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე ვიზიტისას არ იყო განთავსებული ინდიკატორით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია, კერძოდ სკოლაში უკვე არსებული და ვიზიტისას წარმოდგენილი დოკუმენტები: განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, მოსწავლის ადაპტაციის წესი, მოსწავლის ჩარიცხვის წესი, სკოლის რესურსებით სარგებლობის წესი, და ა.შ. არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ვებ-გვერდის ლინკი, რომელზეც განთავსებულია სტანდარტით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია.

3.6.3.5.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი
- სკოლის და სამოქალაქო კლუბის სოციალური ქსელის გვერდი
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, სავარაუდო ხარჯებს და წინა წლის გამოცდილებას. სკოლის შემოსავლების ერთადერთი წყაროა სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება, რომლის ძირითადი ნაწილი მიმართულია დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასა და კომუნალურ ხარჯებზე. თუმცა სკოლას აქვს ფინანსური შესაძლებლობა, უზრუნველყოს სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელება, რაც მის ფინანსურ მდგრადობაზე მიუთითებს, მაგალითად ბოლო წლების განმავლობაში სკოლას საკუთარი სახსრებით მოწყობილი აქვს ვიდეოთვალთვალის სისტემა, ექიმის კაბინეტი, wi-fi და ა.შ.

ინდიკატორი 3.7.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება ხორციელდება სკოლის ხელმძღვანელის მიერ, სხვადასხვა სამსახურებიდან მიღებული მონაცემებისა და ანალიზის საფუძველზე. საბოლოოდ ბიუჯეტი დამტკიცებასა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებას ექვემდებარება სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. მოქმედი რეგულაციების თანახმად, ამ საბჭოს წარედგინება ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ასახავს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების პროცესს და მის შედეგებს. აღნიშნული დოკუმენტაცია საფუძველს იძლევა ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერების დასადგენად. ბიუჯეტისა და ფინანსური მიმართულების მონიტორინგს სამეურვეო საბჭო უზრუნველყოფს, რომელიც ყოველწლიურად, 10 დეკემბრამდე განიხილავს სკოლის დირექტორის საქმიანობის ანგარიშს. ასევე, სკოლის მიერ ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) წარდგენა შესაბამის ორგანოში ხდება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

ინდიკატორი 3.7.1.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2024 და 2025 წლის ბიუჯეტები
- სკოლის ბალანსი

- დირექტორის ანგარიში
- შესყიდვების გეგმა
- შესყიდვების დოკუმენტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით გაწერილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა, კერძოდ სკოლის შინაგანაწესითა და განცხადებების/საჩივრის განხილვის წესით რეგულირდება დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები და გასაჩივრების უფლება, ბავშვთა ძალადობის შიდა ინსტრუქცია არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მექანიზმებს, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს განათლების უფლების რეალიზაციას, სკოლის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია უსაფრთხო ფიზიკური და ემოციური გარემო. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა. დაცულია მოსწავლეთა

მმართველობით პროცესებში მონაწილეობის უფლება შესაბამისი კოლეგიალური ორგანოების წევრობით. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება.

ინდიკატორი 4.1.1.1. შესაბამისობაშია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მოსწავლის უფლებების გაცნობა სხვადასხვა საშუალებებით: სადამრიგებლო საათის ფარგლებში, რაც გაწერილია სადამრიგებლო პროგრამაში. სკოლას აქვს შემუშავებული და გამოკრული სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე სკოლის შინაგანაწესი, შინაგანაწესი ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზეც. სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შინაგანაწესს. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები - პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი, ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, მოსწავლის ადაპტაციის წესი - რომლებიც არეგულირებენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას, საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/დაინტერესებული პირთათვის სასკოლო სივრცეში. მოსწავლის მშობელთან /მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას აქვს დადებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.

ინდიკატორი 4.1.1.2. შესაბამისობაშია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადები, შეწყვეტის პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ინდიკატორი 4.1.1.3. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ბავშვის მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია

- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- ხელშეკრულება მშობელთან
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი
- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- სადამრიგებლო პროგრამა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის #2-64 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლა უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ ინფორმირებას. სკოლის მოსწავლეების მშობლებს კლასის დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია მობილობის განხორციელების, სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს, ასევე, აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებაც. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელიც.

ინდიკატორი 4.1.2.1.შესაბამისობაშია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, ეროვნული სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“-თ, „სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესით“ და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად და უზრუნველყოფს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვას და საფეხურის დაძლევას, მოსწავლის მობილობას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია ;

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია აღწერილია 2024-25 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლის შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია საჯაროდ, სკოლის ფოიეში, საინფორმაციო დაფაზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს სიახლეებსა და ცვლილებებს, ინფორმაცია თავსდება აგრეთვე სოციალურ ქსელში. 2024-25 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები, სკოლაში მოქმედებს კლუბები: სამოქალაქო განათლების კლუბი „სხივი'' და სპორტული კლუბი „ფრონის ხეობა“. აღნიშნულ კლუბებში მოსწავლეები გაერთიანებული არიან ინტერესის მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. დამრიგებლების და სოციალური ქსელის მეშვეობით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის მშობლებისა და მოსწავლეებისათვის მიწოდებას სკოლაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესის შესახებ.

4.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

დამრიგებლები სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას აცნობენ როგორც ინდივიდუალური შეხვედრების დროს, ასევე მშობელთა კრებების მეშვეობით. სკოლა, სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველზე, მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია

პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობასთან შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ასეთი განცხადებები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და ზიარდება სკოლის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე - პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით. ინფორმირების და თანხმობის რეგულაციები დეტალურად გაწერილია მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებაში, აგრეთვე რეგულირდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტით. სკოლის მიერ განხორციელებულ ყველა აქტივობაში მოსწავლეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთონ, ისარგებლონ სკოლის რესურსებით და მიიღონ მონაწილეობა დისკრიმინაციის გარეშე.

ინდიკატორი 4.1.2.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ-ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა და განათლების აღიარების წესი“
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხელშეკრულებები მშობლებთან
- კლუბების დებულებები
- კლუბების სამოქმედო გეგმები
- შინაგანაწესი
- გვერდი სოციალურ ქსელში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის #2-60 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს პირველკლასელთა, სსსმ და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს, განსაზღვრავს ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვან ფაქტორებს, შეიცავს ადაპტაციის წარმატების მახასიათებლებს/ნიშნებს და რეკომენდაციებს, გაწერილია დეზადაპტაციის ნიშნები და ამ დროს გასატარებელი ღონისძიებები და მათი მნიშვნელობა. მოსწავლეთა ტრანზიციის მხარდამჭერი მექანიზმები აღწერილია აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი აქტივობები სკოლაში გადმოსულ ყველა მოსწავლეს უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, თანაკლასელებს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს. დამრიგებელი მოსწავლეს აცნობს შინაგანაწესს.

ინდიკატორის 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია ტრადიცია, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს პირველკლასელთა მიღებასა და მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ამ პროცესში აქტიურად ერთვებიან კლასის დამრიგებლები, რომლებიც ატარებენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს - სკოლის დათვალიერება და გაცნობა, თემატური საუბრები, წესების ერთობლივი შემუშავება და სხვა. ადაპტაციის პროცესში სკოლა ასევე ზრუნავს მეხუთე კლასში გადასული მოსწავლეების, მობილობით გადმოსული ბავშვებისა და სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერაზეც. მათი უკეთ ინტეგრაციის მიზნით, სწავლის დაწყებისთანავე იგეგმება სხვადასხვა სახის აქტივობები და ღონისძიებები.

ინდიკატორის 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გაგვიზიარეს გამოცდილება, თუ რა მიდგომებს იყენებენ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრისთვის. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, თუმცა ინფრასტრუქტურა საჭიროებს გაუმჯობესებას. მასწავლებლები მოსწავლეთა პროგრესის მხარდასაჭერად იყენებენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, განმავითარებელ შეფასებას, უკუკავშირს, ინდივიდუალურ შეხვედრებს როგორც მოსწავლეებთან, ისე მშობლებთან, ასევე ატარებენ დამატებით მეცადინეობებს.

ინდიკატორის 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონით დადგენილ და გონივრულ ვადებში, რაც ხელს უწყობს მათი განათლების უფლების დაცვას. სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლა დროულად რეაგირებს როგორც ინდივიდუალური მშობლების განცხადებებსა და ინიციატივებზე, ასევე კლასის მშობლების შეთავაზებებზე. სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სკოლის საქმისწარმოების წესით გათვალისწინებული ვადებითა და რეგულაციებით, რაც განაპირობებს საქმისწარმოების პროცესის სწორ დაგეგმვასა და ეფექტურ განხორციელებას. დროულად ხდება განცხადებებზე რეაგირება, მობილობის საბუთების გადაგზავნა და კანონით განსაზღვრული ყველა საჭირო პროცედურის შესრულება. მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს სრულად და დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია მობილობის წესების, ვადებისა და შეზღუდვების შესახებ, მათ შორის იმ პერიოდებზე, როდესაც მობილობა დროებით შეჩერებულია.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პერსონალთან გასაუბრების, სკოლის კედლებზე გამოფენილი მასალებისა და ინტერვიუს დროს წარმოდგენილი ფოტოდოკუმენტაციის მიხედვით, იკვეთება, რომ სკოლა ხელს უწყობს არაფორმალური განათლების ელემენტების შემოტანას სასკოლო ცხოვრებაში და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას. განხორციელებული აქტივობები შესაბამისობაშია მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფებთან და ითვალისწინებს მათი ინტერესების სფეროს. საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ აქტივობებში განსაკუთრებული წვლილი შეაქვს სამოქალაქო განათლების კლუბს, რომელიც გეგმავს და ახორციელებს თემატურ ღონისძიებებს, როგორიცაა დასუფთავების აქციები, შშმ პირების მხარდაჭერის აქციები და ა.შ. აღნიშნული ღონისძიებები რეგულარულად შუქდება კლუბის სოციალურ ქსელში. ასევე აქტიურად ფუნქციონირებს სპორტული კლუბი, რომელიც მოსწავლეების მონაწილეობით ხშირად აწყობს სპორტულ-სათემო აქტივობებს. სკოლის პერსონალი ცდილობს მოსწავლეების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში და მათი ინიციატივების მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს როგორც პასუხისმგებლობის გრძნობისა და სოციალური ჩართულობის განვითარებას, ისე არაფორმალური განათლების ხელშეწყობას.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომლის ერთ ერთ მიზანს წარმოადგენს საზოგადოების როლის გაზრდას სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში. დოკუმენტის მიხედვით სკოლა გეგმავს უკუკავშირის შედეგების გამოყენებას სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლა იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან, როგორც ზეპირსიტყვიერად, დამრიგებლების მეშვეობით, ასევე კითხვარების შევსების საფუძველზე. რაც ემსახურება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენასა და მომსახურეობის გაუმჯობესებას;

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი

- კლუბების დებულებები
- მშობელთა კრების ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები
- პროექტები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებულობას საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდებათ კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების მეშვეობით, სკოლის სოციალურ ქსელში მუდმივად იდება ინფორმაცია ახლომდებარე უმაღლესი თუ პროფესიული სასწავლებლების მიერ გამოცხადებული ღია კარის დღეების შესახებ, რაც ხელს უწყობს პროფესიულ ორიენტაციასა და ცნობიერი არჩევანის გაკეთებას. მშობლები იღებენ ინფორმაციას როგორც მშობელთა კრებების, ისე ინდივიდუალური შეხვედრების გზით. წარმოდგენილ მეთორმეტე კლასის სადამრიგებლო პროგრამაში დაგეგმილია აქტივობა კარიერის გაცნობიერებული დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით.

რჩევა: სასურველი იქნება, თუ სკოლის სქმიანობა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მკაფიოდ აღიწერება რომელიმე დოკუმენტში - მაგალითად, სამოქმედო გეგმაში, დამამთავრებელი კლასების სადამრიგებლო პროგრამაში ან სხვა მასალაში. ამ დოკუმენტში უნდა გაიწეროს, როგორ აწვდის სკოლა მოსწავლეებს ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიაზე, განათლების გაგრძელების გზებზე, სამუშაო შესაძლებლობებზე და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებსა და მშობლებს აწვდის ინფორმაციას სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ საბაზო და საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ. მოსწავლეები ამ ინფორმაციას იღებენ კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლებისგან, ხოლო მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა კრებებზე და ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

კლასის დამრიგებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მუდმივად იკვლევენ სკოლის კურსდამთავრებულთა მიღწევებს უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებში, ახდენენ შედარებას გასული სასწავლო წლის შედეგებთან და ანალიზის საფუძველზე გეგმავენ ღონისძიებებს სწავლა სწავლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მაგალითად საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას. სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს ზეპირი გასაუბრების საფუძველზე, დოკუმენტური მტკიცებულება სტატისტიკის შესახებ სკოლას არ მოეპოვება.

ინდიკატორი 4.2.2.3. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი
- სადამრიგებლო პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში სწავლობს 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელთა სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულია ერთი სპეციალური მასწავლებელი. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი – „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირების პროცედურები; სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის წესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების წესები, ინკლუზიური განათლების

შიდა მონიტორინგის მექანიზმები. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტს არ ერთვის მისი დამტკიცების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული ისგ ჯგუფის წევრად სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სსსმ მოსწავლისთვის შექმნილ ისგ ჯგუფებში მშობელი რეალურად ფიგურირებს. სკოლას მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებზე დაყრდნობით შედგენილი აქვს მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მუშაობს მოსწავლეებთან შესაბამისი რესურსით, აკადემიური, კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარებაზე. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად ამზადებს მონიტორინგის ანგარიშს და სთავაზობს რეკომენდაციებს სკოლის ადმინისტრაციას ინკლუზიური განათლების გაუმჯობესების მიზნით.

რჩევა: სასურველია, რომ დოკუმენტი „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“ იყოს დამტკიცებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დოკუმენტი უნდა შეუსაბამდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანებას, კერძოდ – უნდა განისაზღვროს, რომ სსსმ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი აუცილებლად შედიოდეს ისგ ჯგუფის შემადგენლობაში.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი და ადმინისტრაცია მოსწავლის მშობელთან თანამშრომლობით გეგმავენ და ახორციელებენ აღნიშნული მოსწავლის აკადემიური პროგრესისთვის საჭირო აქტივობებს. სკოლაში ბრძანებით შექმნილია ისგ ჯგუფები. პერიოდულად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხილვა და შეფასება; მიღებული დასკვნების მიხედვით ხდება ცვლილებები. სსსმ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში. ისგ ჯგუფი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად იკრიბება სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული საკითხვების განსახილველად. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფის ოქმებით.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.
- სსსმ მოსწავლის შეფასების ფორმები
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მიმდინარე ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს მოსწავლეთათვის დამატებით, არასავალდებულო მომსახურებებს. გასაუბრებისას სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მსგავსი მომსახურებების გაწევა მომავალში განხორცილდება მხოლოდ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ნებართვის მიღების შემთხვევაში.

ინდიკატორი 4.2.4.1. შესაბამისობაშია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

მიმდინარე ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს მოსწავლეთათვის დამატებით, არასავალდებულო მომსახურებებს.

ინდიკატორი 4.2.4.2 შესაბამისობაშია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მიმდინარე ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს მოსწავლეთათვის დამატებით, არასავალდებულო მომსახურებებს. **ინდიკატორი 4.2.4.3 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება**

საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის ბერძენაულის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია კუკურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი (დამტკ. 04.09.2024წ.ბრძ.№ 2-37)დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები: შემუშავება , დანერგვა ,მონიტორინგი და შეფასება , გადასინჯვა და რევიზია. დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობით და გუნდურ პრინციპებზე დაყრდნობით. მისი შემუშვება ხდება სასკოლო საზოგადოების: მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს წინა წლის გამოცდილება, მოსწავლეთა ინტერესი და მოტივაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები, სადაც ისახება კათედრებს შორის თანამშრომლობა, მშობელთა კრების ოქმები ,რომლითაც დასტურდება მათი ინტერესების გათვალისწინება , სკოლას აქვს კითხვარების გამოყენების პრაქტიკაც სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის მიმართულებით ,რომლის უფრო ინტენსიურად გამოყენებასაც გეგმავს სამომავლოდ კურიკულუმის შემუშავებისთვისაც.

როგორც პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, კურიკულუმის გადახედვა მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში. კათედრის წევრები ერთმანეთთან ათანხმებენ დავალებებს, შეფასებას, აჯერებენ, თუ როგორ იმუშავეს მოსწავლეებმა შუალედურ მიზნებზე კომპლექსური დავალებებით, აფასებენ თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს .

სსსმ მოსწავლეთათვის არსებობს ისგ ჯგუფის მიერ შემუშავებული ინდ გეგმები, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. სკოლა გეგმავს გამოკითხვის ფორმის შემუშავებას, რითაც შეიქმნება სრულყოფილი სურათი ინკლუზიური განათლების შემდგომი პროცესების დანერგვისას გასათვალისწინებელი საკითხების შესახებ.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესაბამისად და პირისპირ მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ კურიკულუმზე მუშაობისას ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. თითოეული კურიკულუმი მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა ნათლად პასუხობს მნიშვნელოვან შეკითხვებს სასწავლო პროცესში მონაწილე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს. სკოლაში მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ საგნობრივი კურიკულუმების მომზადებისას მაქსიმალურად ცდილობენ გაითვალისწინონ თემატური კონტექსტების მრავალფეროვნება, რათა შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა და მოტივაციის ზრდა. სკოლას აქვს მზაობა და სურვილი სამომავლოდ სასკოლო საზოგადოების ინტერესთა გამოკვეთისთვის კითხვარების შემუშავებისა მათი აქტიურად გამოყენებისა.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავებისას თითოეული საგნობრივი მიმართულება ერთმანეთს უზიარებდა საკუთარ გამოცდილებას ამა თუ იმ აქტივობის დავალების, რესურსის, მეთოდის, სტრატეგიის ეფექტიანობის შესახებ, რაც აისახება წარმოდგენილ კურიკულუმებში, გასაუბრებიდან გაირკვა ,რომ ამ პროცესებში ყველაზე ნაკლებად მშობლები მონაწილეობენ, თუმცა სკოლას აქვს მშობელთა ჩართულობის პრაქტიკა, კერძოდ, მასწავლებლები მშობლებს უგზავნიდნენ შემოქმედებითი დავალების ბარათებს , რომელიც უზრუნველყოფდა მათ ინფორმირებას კურუკულუმით დაგეგმილ აქტივობებთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში მშობლები ერთვებოდნენ საჭირო რესურსების უზრუნველყოფის გზით.სკოლას აქვს მზაობა, სამომავლოდ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული საშუალებებით სასკოლო საზოგადოების კურიკულუმის შექმნის პროცესში სრულყოფილად ჩასართავად. გეგმავს სასკოლო საზოგადოების ყველა სეგმენტთან აქტიურ

კომუნიკაციას, შემდგომში მათგან მიღებული უკუკავშირი (გამოკითხვა/ანკეტირების ფორმით) კიდევ უფრო მეტად დაეხმარება სკოლას კურიკულუმის განვითარებისა და განახლების პროცესებში.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში არსებული სამივე საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლოს საზოგადოების მიერ. კერძოდ, დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ კურიკულუმის ძირითად ასპექტებს, კათედრის სხდომებზე პედაგოგები პერიოდულად განიხილავენ კურიკულუმების მუშაობის ეფექტიანობას, ასევე ცალკეული საგნის მასწავლებების სწავლის დაწყებამდე მოსწავლეებთან კურიკულუმის შინაარსის ერთგვარ პრეზენტაციას აკეთებენ .

სკოლა სამომავლოდ გეგმავს მშობლებთან ამ მიზნით უფრო აქტიურ კომუნიკაციას კლასის დამრიგებლების ჩართულობით ,იგეგმება რომ უშუალოდ მშობლებისთვის, მომზადდეს კომპლექსური დავალების ბარათები, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია საკუთარი შვილების სწავლა-სწავლების დინამიკის მახასიათებლების შესახებ.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- ინდ. გეგმები ;
- მშობელთა კრების ოქმი ;
- სოციალური გვერდი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნორივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები ასახულია თითოეულ სავალდებულო თემაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. დოკუმენტის მიხედვით სწავლების პროცესში მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა და გააზრება უწყვეტი და თანმიმდევრული პროცესია, რომელშიც მოსწავლე აქტიური მონაწილეა.
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას,რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია და გულისხმობს მათი განვითარების გზას.
ესთეტიკური აღზრდა	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას: მოსწავლეების აქტიურ ჩართვას შემოქმედებით, დამოუკიდებელ, ანალიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობებში, ინდივიდუალური ინტერესების, უნარებისა და განვითარების ტემპის გათვალისწინებით. მასწავლებლებს აქვთ თავისუფლება, აირჩიონ მეთოდები და აქტივობები მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული სწავლების დასაგეგმად.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად მოაზრებულის სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგნილია კომპლექსური ბუნების დავალებები,რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით
მათემატიკა	კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მცდელობა: დავალებები ისეა შერჩეული, რომ დაკავშირებული იყოს მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან (მაგალითად, პარკის დაგეგმარება ან ბაღის გაზომვა). თუმცა ასეთი აქტივობები სამივე საფეხურზე ძალიან ცოტაა (1-2 დავალება წელიწადში), შესაბამისად ნაკლებად ეძლევათ მოსწავლეებს თვითგამოხატვის, ინიციატივის ან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე,მათში შეტანილია სასწავლო თემები,რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს,მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი წარმოდგენილია ყველა კლასში. საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თუმცა სასურველია კურიკულუმებში დაიფაროს ყველა სამიზნე ცნება ,პროცესი ნაწილობრივ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან,თუმცა ზოგიერთ საგანში გაიცა რჩევა იმასთან დაკავშირებით ,რომ თითოეულ თემაში მოხდეს ყველა სამიზნე ცნების დამუშავება , დაემატოს კომპლექსური /შემოქმედებითი ტიპის დავალებების რაოდენობა და დაიხვეწოს კურიკულუმების სტრუქტურა .

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და საკითხების შესწავლა ხორციელდება მესამე თაობის ესგ მიხედვით, რაც ითვალისწინებს ცნებებით სწავლებას, მაგრამ კურიკულუმის მონიტორიგის შედეგად დადგინდა რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიართულებით სამივე საფეხურზე კურიკულუმში ყველა თემის შესწავლის დროს არ არის ყველა თემა ასახული.
უცხოური ენები	კურიკულუმი გაწერილია ესგ-ის მიზნების შესაბამისად
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ინდივიდუალური განვითარებისა და სოციალური კომპეტენციების განვითარება სხვადასხვა აქტივობით: მუსიკალური და სახელოვნებო შემოქმედებითი დავალებებით, ინტერპრეტაციებით, წარდგენებით, შთაბეჭდილებების გაზიარებითა და ჯგუფური მუშაობით. მაგალითად, მუსიკის კურიკულუმში

	მიზნადაა დასახული მოსწავლის ემოციური ინტელექტის, შემოქმედებითი უნარების და სმენის განვითარება - რაც პირდაპირ უკავშირდება ეროვნული გეგმის მიზნებს. ხელოვნების საგანი კი ხელს უწყობს ვიზუალური აზროვნების, ესთეტიკური გემოვნებისა და კულტურული იდენტობის განვითარებას, რაც ეროვნული გეგმის ღირებულებებთან თავსებადია. კურიკულუმები ხშირად გულისხმობენ ინტეგრირებულ სწავლებას, რაც ეროვნული გეგმის მრავალმხრივი განათლების პრინციპს შეესაბამება.
სახელმწიფო ენა	სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს, რისი მანიშნებელიცაა ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება. თუმცა, კათედრა მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ და რომ გეგმავენ ამ ტიპის მუშაობის უფრო ფართოდ დანერგვას სწავლების პროცესში.
მათემატიკა	კურიკულუმების თემატიკა და ტერმინოლოგია შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, თავად კურიკულუმში ნაკლებად ჩანს მიზნის, აქტივობის და შედეგის შორის კავშირი აქტივობების სიმცირის გამო. მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას პედაგოგებმა კარგად განმარტეს, თუ როგორ უწყობს ხელს დაგეგმილი თემები და საკითხები ეროვნული მიზნების მიღწევას. თავადაც აღნიშნეს, რომ აქტივობების მრავალფეროვნება უფრო მეტად საინტერესოს გახდის სწავლების პროცესს და დაადასტურეს მზადყოფნა ამ კუთხით კურიკულუმების გაუმჯობესებისთვის.
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნის მიზნებს,შედეგებსა და საგნის სამიზნე ცნებებს.
ტექნოლოგიები	გადმოგზავნილ კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ამასთან დაკავშირებით გაიცა რჩევა
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის საგნების: ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. სკოლა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებსა და ინდიკატორებს. ამის დასტურია ე.წ. კომპლექსური ბუნების დავალებებითა და პროექტებით სწავლება.

	თუმცა, კურიკულუმებში წარმოდგენილია მცირე რაოდენობით შემოქმედებითი ტიპის დავალება პედაგოგების ინტერვიუდან იკვეთება, რომ ამ თვალსაზრისით ისინი პირველ ნაბიჯებს დგამენ და რომ გეგმავენ ამ ტიპის მუშაობის უფრო ფართოდ დანერგვას სწავლების პროცესში.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია რესურსები, რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. სკოლა პერიოდულად სარგებლობს ფიზიკასა და ქიმიაში ვირტუალური ლაბორატორიით, ციფრული რესურსებით, იყენებს გასვლითი გაკვეთილების დროს სკოლის ეზოში ბუნერივი გარემოს კომპონენტებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს სწავლა სწავლების პროცესს და მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ.
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის ინტერესის, შემოქმედებითი აზროვნებისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს ვიზუალურ, აუდიო და ციფრულ რესურსებს (მაგ., ნოტები, ჩანაწერები, წიგნები, ალბომები, ილუსტრაციები, ვიდეოები, სხვა აუდიოვიზუალური მასალა, პრაქტიკული დავალებები, ინტერნეტრესურსები). მასწავლებლებს აქვთ საკმარისი ცოდნა თანამედროვე რესურსების ინტეგრირებისთვის და მათი პედაგოგიური გამოყენებისთვის.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს შემდეგ რესურსებს:სახელმძღვანელოები,რუკები,ფოტომასალები, ელექტრონული რესურსები (ტელესკოლა,ფილმები,სპექტაკლებისჩანაწერები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია)

მათემატიკა	კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენების ზოგადი ხედვა და სურვილი, რომ ისინი დაეხმაროს მოსწავლეს სასწავლო შედეგების მიღწევაში, თუმცა კურიკულუმებში რესურსები ხშირად ჩამოთვლილია ზოგადად და სტანდარტულად, მაგალითად – სახელმძღვანელო, ტელესკოლა, ხანის აკადემია.ზოგიერთ კლასში (მაგ., მე-9 და მე-12) მითითებულია მხოლოდ პლატფორმის სახელი (ხანის აკადემია) URL მისამართის ან კონკრეტული ვიდეო/გაკვეთილის დასახელების გარეშე, რაც ართულებს რესურსის ეფექტურ გამოყენებას.
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები,რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით,ელექტრონულ რესურსადწარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით,შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის საგნობრივ კურიკულუმებში უმეტესად ასახულია რესურსები, პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მათი გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს მრავალფეროვან რესურსს: სახელმძღვანელოები, ფოტომასალები, ელექტრონული რესურსები (ტელესკოლა,ფილმები,სპექტაკლების ჩანაწერები). თუმცა, კურიკულუმებში მათი ჩამონათვალი ხშირად ზოგადია, ამასთან დაკავშირებით გაიცა რჩევა

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს, სწავლებისას მასწავლებლები იაზრებენ დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობას.

	სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, მოსწავლეებთან, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, საჭიროებებს. სკოლაში ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები, შედგენილია საგნობრივი ისგ გეგმები, იზომება მოსწავლის პროგრესი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების წარმოჩენას და აძლევს საშუალებას ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. შეფასება, აქტივობები და მასალები ადაპტირებულია ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით. მოსწავლეებს აქვთ საშუალება გამოხატონ საკუთარი თავი სხვადასხვა ფორმით (ხატვა, მუსიკა, მოძრაობა). შესაძლებელი ხდება მრავალარხიანი სწავლება: ვიზუალური, აუდიტორული და ემოციური ჩართულობით. ინკლუზიური და დიფერენცირებული პრაქტიკების ეფექტიანობას განაპირობებს მასწავლებლის მიდგომები, უნარები და და სკოლის მხარდაჭერა.
სახელმწიფო ენა	კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, რაც აისახება შერჩეულ სასწავლო რესურსებში, თემებში; მოსწავლეებს მიეწოდება არა მხოლოდ ვერბალური ინფორმაცია, არამედ ვიზუალური, ვიდეო, აუდიო მასალაც. რამდენადაც სკოლა მცირეკონტიგენტიანია, მასწავლებლებს მეტი საშუალება აქვთ გაითვალისწინონ თითოეული მოსწავლის საჭიროებები და ისე დაგეგმონ თავიანთი სამუშაო.
მათემატიკა	ზოგიერთი კლასის კურიკულუმში (მაგალითად, I კლასში) ჩანს მცდელობა დიფერენცირებული სავარჯიშოების გამოყენების, რაც სწავლების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებას უწყობს ხელს. კურიკულუმებთან ერთად გამოგზავნილია რამდენიმე ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც.
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს მასწავლებელი დამაჯერებლად ვერ საუბრობს დიფერენცირებულ მიდგომებზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას, თუმცა მასწავლებელს/სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომა .

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სკოლა მცირეკონტიგენტიანია,რაც შედარებით ამარტივებს სამუშაოს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმვას. შერჩეული სასწავლო რესურსები, თემები მიგვანიშნებს, რომ სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, მოსწავლეებთან, ითვალისწინებს მათ ინტერესებს, საჭიროებებს. იზომება მოსწავლის პროგრესი. მაგ: მათემატიკაში გამოყენებულია დიფერენცირებული სავარჯიშოები, რაც სწავლების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგებას უწყობს ხელს. ქართულ ენაში მოსწავლეებს მიეწოდება ვერბალური ინფორმაცია, ვიზუალური, აუდიო და ვიდეო მასალა. ამ საფეხურზე არ ჰყავს სკოლას სსსმ მოსწავლე,თუმცა პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საამისო გამოცდილებაც, პრაქტიკაც და მზაობაც.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა მრავალფეროვანია და მიმართულია მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ. შეფასების ორივე ფორმა - განმსაზღვრელი/განმავითარებელი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებზე და წარმოადგენს სწავლების განუყოფელ ნაწილს.
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასება მწყობრად უკავშირდება სწავლის შედეგებს. შეფასება ემსახურება ეროვნული გეგმის მიზნების მიღწევას.

სახელმწიფო ენა	კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებულ რუბრიკებში ნაკლებად იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით, მაგრამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში კათედრამ წარმოადგინა გაუმჯობესებული რუბრიკები თითოეული საფეხურისთვის
მათემატიკა	სკოლამ გადმოაგზავნა საკმაო რაოდენობის როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც მიუთითებს შეფასების სისტემის სტრუქტურულად არსებობაზე. გასაუბრებისას კი გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ ეს რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის.
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.
ტექნოლოგიები	დამატებით დოკუმენტებში სკოლამ წარმოადგინა საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუში პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სკოლის მიერ გადმოგზავნილია საკმაო რაოდენობის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად შეფასებას ექვემდებარება მოსწავლის კონკრეტული აქტივობა/დავალება, ასევე პროდუქტი. გასაუბრებისას გაირკვა, რომ პედაგოგებს გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენონ რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებთან მოსწავლის შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა ;
- სასკოლო კურიკულუმის შემშავებისა და განვითარების განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- კომპლექსური დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები;
- პირველი სემესტრის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის შემაჯამებელი ოქმი.
- პროექტი ქართული ენის დღესთან დაკავშირებული;
- დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცი;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები ;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სპეციალური მასწავლებლის ანგარიში. მულტიდისციპლინური ჯგუფის სამუშაო დოკუმენტაცია; სსსმ მოსწავლების საგნობრივი მონიტორინგები;
- შემოქმედებითი პროექტები და ფოტოაღწერა;
- მიმდინარე შემოქმედებითი დავალების (პრეზენტაცია, პროექტი, რეფერატი) კომპონენტები ხელოვნებაში;
- შემაჯამებელი ტესტი, პროექტი, პრეზენტაცია;
- რესურსების რეესტრი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

○ *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს კურიკულუმით დაგეგმილ აქტივობებს. მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სკოლის მიერ დაგეგმილ და შემუშავებულ კურიკულუმს.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ესთეტიკური აღზრდა	სწავლების მიზნები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებს. გაკვეთილში გაწერილი მიზნები დაკავშირებულია კურიკულუმში განსაზღვრულ შედეგებთან. გამოიყენება კურიკულუმის ტერმინოლოგია. აქტივობები ხელს უწყობს უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. სწავლა ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს (ინტეგრაცია, მრავალფეროვნება, კულტურული კონტექსტი და სხვ.).
სახელმწიფო ენა	სასკოლო კურიკულუმს კათედრა მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად, რამდენადაც მასში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
მათემატიკა	კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი სამივე საფეხურზე კარგად ფარავს სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. თუმცა დაწყებით საფეხურზე თემები ფართოდაა მოცემული, ზოგან ინფორმაცია მეორდება ან თემატურად იშლება ზედმეტად დეტალურად (მე-2, მე-3, მე-4 კლ), რაც ართულებს აღქმასა და დაგეგმვას. მაგალითად, გამრავლებისა და შეკრება-გამოკლების შემთხვევაში ერთნაირი მოქმედებები დაშლილია მრავალ ცალკე საკითხად, რამაც შესაძლოა კურიკულუმი გადააქციოს ჩამონათვალის დაუსრულებელ სიად.ამ საკითხთან დაკავშირებით გაიცა რჩევა .
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი ნაწილობრივ დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, კერძოდ სასწავლო პროცესში განხორციელებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები არ არის ასახული კურიკულუმში. მაგალითად მასწავლებელს გადმოგზავნილი აქვს შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკა: „პრეზენტაცია პლანეტების შესახებ“, რომელიც არ არის ასახული კურიკულუმში.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასკოლო კურიკულუმს კათედრა მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად, რამდენადაც მასში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გამოგზავნილი, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. კურიკულუმებში თემების ჩამონათვალი ფარავს დაწყებითი კლასების საგნების (სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებულ სასკოლო მასალას. თუმცა, ზოგან ინფორმაცია მეორდება ან ზედმეტად დეტალურად არის წარმოდგენილი, რაც აღსაქმელად არის რთული.(მაგ:მათემატიკა მეორე, მესამე, მეოთხე კლასები).

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას აქვს შესაძლებლობა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკურად თუ ემოციურად გარემოს ადაპტაციასთან დაკავშირებული საჭიროებები. დოკუმენტების შესწავლისას და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,რომ სკოლა ცდილობს მოსწავლეებზე მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონდეს,ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა ბავშვის გასაცნობი ფორმის ანკეტა ,სადაც მშობლისგან იღებს მოსწავლეთა საჭიროების შესახებ ინფორმაციას. ადმინისტრაციასთან გასაუბრებიდან ირკვევა ,რომ აღნიშნული ღონისძიებებიდან გამომდინარე ,მოსწავლეს ექმნება ნაკლები სირთულეები, გაზრდილია მიმღებლობა და მცირეა შფოთი. გარდა ამისა, სკოლაში, საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები გამოკვეთენ მოსწავლის საჭიროებებს და ახორციელებს დიფერენცირებულ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები,რომელიც იძლევა საფუძველს, შეფასების სისტემა ჩაითვალოს შეფასების პრინციპების გათვალისწინებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა წარმოადგენს რეფლექსიას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე. ამასთანავე შეფასება ემყარება გრძელვადიან სასწავლო მიზნებსა და ამოცანებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე.
უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო გეგმის მიზნებს და ამ მიზნებით განსაზღვრულ შედეგებს. გამოიყენება განსხვავებული ფორმის შეფასება (ზეპირი, პრაქტიკული, რეფლექსიური, შემოქმედებითი). წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასაუბრება პედაგოგებთან არ წარმოქმნის ეჭვს შეფასების სისტემის ვალიდურობაში, გამჭვირვალობაში, სანდოობაში, ობიექტურობასა და სამართლიანობაში.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს, კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნების შეფასების მიზნით. შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, ამდენად, მათ იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული.
მათემატიკა	სკოლამ ბევრი რუბრიკა გადმოაგზავნა და გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თითქმის ყველა თემის შესაბამისი რუბრიკა აქვთ. თუმცა ,საშუალო საფეხურზე ზოგიერთი რუბრიკა უფრო ტექნიკურადაა შედგენილი და ნაკლებად უკავშირდება კონკრეტულ სასწავლო მიზანს.
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას ქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით

ტექნოლოგიები	სკოლამ გადმოაგზავნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუშები და შემდეგ დამატებით დოკუმენტებში უფრო მეტად კონკრეტული რუბრიკები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის მასწავლებლები შეიმუშავებენ შეფასების რუბრიკებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ობიექტურობისთვის მასწავლებლები, წესისამებრ, აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს. მოსწავლეებმა იციან, რისი შეფასება აქვს მასწავლებელს განსაზღვრული. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნების შეფასების მიზნით.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარადგინა შეფასების ვერიფიკაციის წესი (ბრძანება №2-05 , 26.02.2025), სადაც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მიზანია სკოლაში შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის შემოწმება და დადასტურება. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება სწავლების ყველა საფეხურზე და მიზნად ისახავს შიდა შეფასების ჩატარებას, მოსწავლის პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას სასკოლო კურიკულუმთან. შერჩეულია ვერიფიკააციის მეთოდები, დეტალურად არის აღწერილი ამ პროცესის ეტაპები და დასახელებულია შეფასების განმახორციელებელი რგოლები. ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი კათედრების მიხედვით ,ამ ჯგუფში შედის საგნის კომპეტენციის მქონე პირი,რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტის /მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება ,ასევე ეს პროცესი შესაძლებელია განახორციელოს დირექტორმა , შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთადასწრების,შეფასების რუბრიკების შემუშვების ,შემაჯამებელი დავალების ანალიზის საფუძველზე)

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს შეფასებასთან დაკავშირებით მონაცემების შეგროვებას, სათანადო აღრიცხვასა და შენახვას სამი წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025.
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;
- გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;
- ესთეტიკის მიმართულების საგნებში პროექტები, პრეზენტაციები
- შემაჯამებლების ნიმუშები საბაზო/საშუალო საფეხურზე
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა/რეფლექსია
- გაკვეთილზე დასწრების დამადასტურებელი მასალა
- სტრატეგიული გეგმის კითხვარის ანალიზი
- ბავშვის გასაცნობი ფორმის ნიმუში
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები
- ინდგეგმები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადი სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსებად გამოიყენება ძირითადად ციფრული რესურსები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები აქტიურად გამოიყენება სკოლაში და ხელს უწყობს ესგ ში გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების დაძლევას.
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. მეთოდური და საგანმანათლებლო ლიტერატურა, თანამედროვე ციფრული რესურსები, აუდიო/ვიდეო მასალა, ხელოვნების ნამუშევრების შესაქმნელი მასალა და ინვენტარი ეხმარება მოსწავლეს სწავლის შედეგების მიღწევაში. სივრცე ხელმისაწვდომია პრაქტიკული საქმიანობისთვის. მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება და ქმნის შემოქმედებითი პროცესის ხელშემწყობ დამატებით რესურსს.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს,რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები,სპექტაკლებისჩანაწერები)
მათემატიკა	კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები სტანდარტულად, - სახელმძღვანელოები, GeoGebra, Desmos და Khan Academy. რესურსების ჩამონათვალი ზოგადია ,თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იყენებენ კონკრეტულ რესურსს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისას (მაგ.GeoGebra-ს და Desmos-ს გრაფიკების ასაგებად და ა.შ.)

სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით. მასწავლებელი საუბრობს იმ სასწავლო რესურსებზე რომელიც არის მითითებული სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმში, მაგ. School.emis.ge
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები, სპექტაკლების ჩანაწერები) რესურსების შერჩევა ხდება კათერაზე ,ამის დასტურია კათედრის ოქმი.(N1. 17. 09. 2024) წელი)

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას
ესთეტიკური აღზრდა	არსებული დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება საგნობრივ სასწავლო გეგმებს. რესურსების შერჩევაში ჩართულია საგნის პედაგოგი. რესურსების გამოყენებამდე ხდება მათი განხილვა და შეთანხმება სკოლის ადმინისტრაციასთან.

სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.
მათემატიკა	დოკუმენტებში არ ჩანს, როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები, თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება.
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას
ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, ახალი დამხმარე რესურსებისათვის სკოლას აქვს მზაობა მოახდინოს ვალიდაცია შესაბამისი წესით.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას გააჩნია შესაბამისი ფართი, სასკოლო ინვენტარი სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სრულად უზრუნველყოფს სწავლისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებსა და თვალსაჩინოებებს.
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით
ესთეტიკური აღზრდა	გაკვეთილის დროს ყველა მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა, ინდივიდუალურად ან ჯგუფში, იმუშაოს რესურსით. მოსწავლეთა რაოდენობა არ აჭარბებს იმ ზღვარს, რაც ხელს უშლის პროცესის ორგანიზებას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა განუწყვეტლივ იღვწის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის.
მათემატიკა	ზოგიერთ კურიკულუმში და კომპლექსური დავალების ბარათებში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და იყენებენ კიდეც.
სპორტი	სკოლას არა აქვს შიდა დახურული სპორტული დარბაზი ,თუმცა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას.სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით,რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას .ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით ასე რომ, მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას

ტექნოლოგიები	სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. 6 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით რაც იძლევა საშუალებას მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობის კომპიუტერებთან. ასევე აქვს პროექტორი, პრინტერი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის სკოლას აქვს შესაბამისი ფართი, სასკოლო ინვენტარი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. სკოლა მუდმივად ზრუნავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, პედაგოგები უზრუნველყოფილნი არიან საგაკვეთილო პროცესისათვის საჭირო ტექნიკითა და საგნებით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

ქარელის რაიონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერძენაულის საჯარო სკოლას სულ ჰყავს 8 წამყავანი, 13 უფროსი და ერთი უფროსი სპეციალური მასწავლებელი. საბაზო და საშუალო საფეხურზე ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი,კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. ვიზიტისას დადგინდა, რომ დაწყებით საფეხურზე კი 1-4 კლასებში, საგნებს:სახვით და გამოყენებითი ხელოვნება, მე და საზოგადოება, მუსიკა ასწავლიან პედაგოგები, რომელთაც აქვთ დაწყებითი კლასების კომბინირებული საგნების სწავლების კომპეტენცია, თუმცა არ აქვთ აღნიშნულ საგნებზე კომპეტენცია დადასტურებული. ვიზიტის პერიოდში სკოლამ უკვე გამოაცხადა ვაკანსიები აღნიშნულ საგნებზე კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც იგეგმება აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება 2026 წლის 28 ივნისამდე. შესაბამისად **დაწყებით საფეხურზე ინდიკატორი 2.2.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

საბაზო და საშუალო საფეხურზე ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შესრულებული კომპლექსური დავალებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები; გაკვეთილის გეგმა. პედაგოგის რეფლექსია.;
- პროექტები, პრეზენტაციები
- სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმები;
- რესურსების რეესტრი და ფოტოაღწერა.
- კათედრის ოქმი
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- შემოქმედებითი დავალების ფოტომასალა
- ღონისძიებებისა და რესურსების ჩამონათვალი კათედრაზე
- მასწავლებელთა პირადი საქმეები ,
- მასწავლებელთა ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას აქვს შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას .აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია, თუ როგორ, რა აქტივობებითა და საშუალებებით განხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად , თითოეული პედაგოგი ვალდებულია წარუდგინოს კათედრას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ხოლო კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე.სკოლას ეს პროცესი წარმოდგენილი აქვს კათედრების წევრებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობით. გადმოგზავნილი მასალითა და ადგილზე ვიზიტის დროს დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სწავლება მიმდინარეობს წლის დასაწყისში შემუშავებული კურიკულუმების მიხედვით და პეროიდულად სასწავლო პროცესების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კათედრებზე კურიკულუმის ანალიზისა და ურთიერთდასწრების გზით. სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილებზე კოლეგა მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შეფასების ფორმები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი პედაგოგის მიერ გაკვეთილზე განხორციელებული როგორც წარმატებული აქტივობები , ასევე მათ მიერ დასახვეწი საკითხები.სკოლის ადმინისტრაციას აქვს მზაობა სამომავლოდ დანერგოს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი და განხორციელებული აქტივობების ანალიზი.

ინდიკატორი2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის მონიტორინგისა და მოსწავლეთა სწავლების პროცესში გამოვლენილი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით კათედრის წევრები ინტენსიურად იკრიბებიან, ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. გადმოგზავნილი მასალით და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს ასვე გამოიკვეთა ,რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას,

კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს.მეტი აქტიურობით იგეგმება შეფასების პროცესებში მოსწავლეთა ჩართულობაც, შემუშავდება თვითშეფასების ფორმები, რომელთა საშუალებითაც დადგინდება, როგორ აფასებენ მოსწავლეები დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებსა თუ კომპლექსურ დავალებებს და მათზე მუშაობის პროცესებს, სკოლას აქვს ასეთი პრაქტიკაც საბაზო საფეხურზე , როდესაც მოსწავლეები თავად აფასებენ განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესებს. სკოლის წარმოდგენით მსგავსი ქმედითი ნაბიჯების შედეგად იკვეთება ერთიანი სურათი სადაც ჩანს, თუ სადაა პრობლემა და შესაბამისად იგეგმება გადაჭრის გზები.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის ადმინისტრაცია ,რომელიც თვალყურს ადევნებს და აფასებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს, ესწრება გაკვეთილებს და პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირით გარკვეულწილად ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება პროცესების შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის. პედაგოგებს დირექტორის მხრიდან მუდმივად აქვთ ინფორმაციული ტიპის მხარდაჭერა ნებისმიერი აქტივობების შესახებ ,რაც მათ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია
- მასწავლებელთა გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შეფასების ფორმები
- კათედრის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების საშუალებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს, როგორებიცაა: კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. მოსწავლის შეფასებაში სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს. შეფასების პროცესში მასწავლებელი ეყრდნობა მოსწავლის არა მარტო საკლასო სივრცეში გამოვლენილ ცოდნასა და უნარებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და ასე შემდეგ. ამის შესახებ ცნობებს სკოლა იღებს დამრიგებლებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად .

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორებზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მისი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს და ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ და ავითარებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ

კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი.

ამდენად ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) და მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.სისტემატურად ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ვლინდება ძლიერი და სუსტი მხარე და მუშავდება რეკომენდაციები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ამ ეტაპზე მონაცემთა შეგროვება ძირითადად ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით ხდება და ანალიზის საფუძველზე იგეგმება შემდგომი ნაბიჯები, ,სკოლა გამოთქვამს მზაობას , რომ მომავალში მონაცემების შეგროვებისას სკოლა უფრო აქტიურად და ორგანიზებულად დაეყრდნობა სხვადასხვა მეთოდებს: ანკეტირება, გამოკითხვა, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება. გარდა ამისა, იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება ყველა საგნობრივი მიმართულებით. ეს სკოლას მისცემს შესაძლებლობას შემდგომი გადადგმული ნაბიჯი უფრო კონკრეტული და მიზნობრივი იყოს. ამდენად , **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის როგორც პიროვნულ, ასევე კოგნიტურ და ფსიქო-ემოციურ უნარებს და შესაბამისად აყალიბებენ შეფასების რუბრიკებსაც. გარდა ამისა, ითვალისწინებენ სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, როგორებიცაა - სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობა, სასკოლო მზაობა და სხვა.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ;
- ვერიფიკაციის წესი ;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის შემაჯამებელი ოქმი;

- 2024-2025 სასწ. წლის საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მშობელთა კრების ოქმი ;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განვითარების პროცესი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტში აღნიშნულია ,რომ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. კათედრების სხდომების ოქმებზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრების წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ და უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას სკოლაში .აღნიშნული აქტივობების შედეგად კი გამოიკვეთება სასწავლო წლის ბოლოს კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები,ამ მონაცემების შეჯერების საფუძველზე კი შეიქმნება სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი .ამდენად **ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერისათვის მნიშვნელოვანია სკოლაში მასწავლებელთა მიე ურთიერთ მიგნებებისა და შედეგების გაზიარება. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ამ მიზნით იკრებებიან კათედრებზე, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებებს, ითვალისწინებენ როგორც საკუთარი, ისე სხვა კათედრების წინარე გამოცდილებას. მოწოდებული დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს , რომ ყოველი მომდევნო წლისთვის კურიკულმის გადამუშავებული ვერსია უნდა ეფუძნებოდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, სკოლა გეგმავს სამომავლოდ უფრო სისტემური და ორგანზებული სახე მისცეს ამ პროცესს. **ინდიკატორი2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოიგია;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი: 09/07/2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: